საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 13 ნოემბერი, 2012 წელი.

№218 (7094)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჯდვეტი სიფცვაა, ფცეტილებით და ჭიანებით ბეტონის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ბიძინა ივანიშვილი ქოზე მანუელ ბარროზოსა და ჰერმან ვან რომპუის შეხვდა

2



ყბადაღებული „ქენევის ფორმატი“ და შორი გზა ნატოდე

ეს ის გიგა ბოკერიაა, რომელიც, როგორც ამბობენ, არჩევნების წინ, ყოველგვარი ფორმატის გარეშე დაძვრებოდა მოსკოვის მაღალ კაბინეტებში, არიქა, ამერიკამ ცოცხების გამო მგონი „დაგვადო“, ვიღუპებით, ახლა გვიშველეთ და რაც დაგვრჩა გაუყიდავი, კი არ მოგყიდით, გიფეშქაშებთო...

3

გალიზიანებული პოლიტიკოსები საქართველოში

8

მიბაძავს ძმას მიხეილ სააკაშვილი?

11

ვინ და რატომ სდებს შარს ყველაზე ღირსეულ კანდიდატს?

4

მოსწავლეებს სკოლიდან აღარ გარიცხავენ

7

თვითმმართველობის რიგგარეშე არჩევნები უნდა დაინიშნოს

5

ეროვნულ პარტნიორები

6

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲥᲝᲖᲔ ᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲑᲐᲠᲝᲖᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲔᲠᲛᲐᲜ ᲕᲐᲜ ᲠᲝᲛᲞᲔᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზოსა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტს ჰერმან ვან რომპეის შეხვდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზოს შორის გამართული შეხვედრის შემდეგ მხარეებმა რუსეთთან ურთიერთობის შესახებ ისაუბრეს. როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, ახალმა ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯი გადადგა, როდესაც რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე დაინიშნა, თუმცა პრემიერი რუსეთის რეაქციით უკმაყოფილოა.

„პირველ ეტაპზე რუსეთის მხრიდან გაკეთებული განცხადებებით იმედგაწბილება მივიღეთ. რუსეთის მხრიდან ჯერჯერობით შესატყვისი რეაქცია არ იყო. ისევ ველოდებით და იმედი გვაქვს, რომ რუსეთის ხელისუფლება ვითარების შემდგომ ანალიზს გააკეთებს და შესატყვის ნაბიჯს გადადგამს. ესკალაცია, ის მდგომარეობა, რომელიც დღეს ორ ქვეყანას შორის არის, არც ერთი ქვეყნისთვის არ არის სასურველი. ჩვენ ორმხრივი მცდელობით უნდა მოვახერხოთ და ურთიერთობები, როგორმე გავაუმჯობესოთ“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ჟოზე მანუელ ბაროზოს თქმით, პრემიერმა მას რუსეთში სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. **„დიდი ინტერესით ვუსმენდი, რადგან მიმაჩნია, რომ ისეთ მნიშვნელოვან ქვეყანასთან, როგორიც რუსეთია, ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოებს როგორი ურთიერთობა ექნებათ, მნიშვნელოვანი საკითხია“,** — ამბობს ბაროზო, — ჩვენი პოზიცია პრემიერთან შეხვედრაზე გავახმოვანეთ და ახლაც ვიმეორებ, რომ ჩვენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე უენევის დისკუსიას მხარს ვუჭერთ.

პრემიერ-მინისტრი ბრიუსელში სამუშაო ვიზიტით გუშინ გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲝᲓᲘᲨᲐᲠᲘᲐᲛ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ თავისი ერთ-ერთი მოადგილე სათუნა ხუნდაძე გერმანიიდან მოიწვია.

ოდიშარიას თქმით, ხუნდაძეს სამხატვრო აკადემია შტუტგარდტში აქვს დამთავრებული და კულტურულ ღონისძიებებს გაუწევს კურატორობას.

მინისტრის კიდევ ერთ მოადგილეს მარინე მიზანდარს კი, ბელგიასა და საქართველოში არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული. როგორც გურამ ოდიშარიამ განაცხადა, მარინე მიზანდარს აქვს ის პოტენციალი, რაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოადგება.

კულტურის მინისტრის კიდევ ერთი მოადგილე ფოტოხელოვანი იური მეჩითოვია. მინისტრმა აღნიშნა, რომ იური მეჩითოვმა არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფოტოკადრი შექმნა.

რაც შეეხება მინისტრის პირველ მოადგილეს ალექსანდრე მარგიშვილს, ის იურიდიულ და ეკონომიკურ საკითხებზე იმუშავებს. ასევე, ალექსანდრე მარგიშვილი კულტურის სამინისტროს საპარლამენტო მდივანიც იქნება.

ᲒᲔᲜᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ

— ᲐᲛᲘᲡ შესახებ თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურიდან იტყობინებიან.

მიუხედავად სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, თავდაცვის სამინისტრო მუშაობას ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს. განხორციელდება ყველა ის პროექტი, რომელიც თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას და მის გუნდს ჰქონდა დეკლარირებული. გაგრძელდება ამჟამად მიმდინარე სამხედრო ბაზების მონიტორინგი, რომელსაც თავად მინისტრი ახორციელებდა. თავდაცვის სამინისტრო ინტენსიურად იმუშავებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნებთან საქართველოს ნატოში გაწევრების დასაჩქარებლად. — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გენერალ გიორგი კალანდაძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ სამსახურებრივი უფლებამოსილება შეუჩერა.

◎ ᲘᲛᲘᲢᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲐᲡ?“

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲓᲐᲜ დევნილი ბესიკ ფიფია აცხადებს, რომ მამუკა ახვლედიანმა მას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაციის იმიტაცია შესთავაზა.

როგორც ბესიკ ფიფია გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში აცხადებს, 1992 წელს, აფხაზეთიდან დევნილმა მისმა ოჯახმა ავლაბარში, ე.წ. ყაზარმის უბანში ბინა შეიძინა, თუმცა გადაფორმებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და საბოლოოდ ისინი თაღლითების მსხვერპლნი გახდნენ. ამის შემდეგ, აღნიშნულ ადგილზე პრეზიდენტის სასახლის მშენებლობა დაიწყო და ფიფიების ოჯახი უბინაოდ და უკომპენსაციოდ დარჩა. თავდაპირველად მათ ისანი-სამგორის გამგეობა ქირის ფულს უხდიდა. ამასობაში, ოჯახმა სასამართლო დავა მოიგო, თუმცა, როდესაც სახლი ოფიციალურად დაუბრუნდათ, ის მხოლოდ საბუთებში არსებობდა, რადგან იმ ადგილას უკვე რეზიდენცია იყო აშენებული.

როგორც ბესიკ ფიფია აცხადებს, ამის შემდეგ მათ დახმარებისთვის თბილისის მაშინდელ ვიცე-მერს მამუკა ახვლედიანს მიმართეს.

— ერთ მშვენიერ დღეს, ისევ ბინის საკითხზე, მამუკა ახვლედიანთამ მივედი და მან მოულოდნელად ასეთი რამ შემომთავაზა, ეს დავა უნდა დასრულდეს, გადაგიხდით 2 მილიონ ლარს, ოღონდ ერთი პირობით, თუ ერთ რამეზე არ გვეტყვითო უარს. ეს ის პერიოდია, როდესაც ბადრი პატარკაციშვილი „ნაციონალურ მოძრაობას“ ჩაუდგა ოპოზიციაში. მოკლედ, ახვლედიანმა პრეზიდენტ სააკაშვილის ლიკვიდაციის იმიტაცია შემომთავაზა. ახვლედიანმა მითხრა, რომ იმერეთის რეგიონში, პრეზიდენტის ხალხთან შეხვედრის დროს, პრეზიდენტის დაცვა და უსაფრთხოების სამსახურები გამიკეთებდნენ კორიდორს, რითაც მიხეილ სააკაშვილთან მიახლოების საშუალებას მომცემდნენ. მანამდე სპეცსამსახურები გამატარებდნენ სპეციალურ ტრენინგს, მომცემდნენ მოწყობილობას, რომელიც არ აფეთქდებოდა. უბრალოდ, ეს უნდა ყოფილიყო პრეზიდენტის მკვლელობის მცდელობის იმიტაცია. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის დაცვა დამაკავებდა მე კი იმავე დღეს გამოვიდოდი აღიარებითი ჩვენებით, რომ პრეზიდენტის მკვლელობა შემიკვეთა ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის უფროსმა ვალერი გელბახიანმა და ამაში 2 მილიონს ლარს დამპირდა, — აცხადებს ბესიკ ფიფია.

მისი თქმით, ახვლედიანი მას არწმუნებდა, რომ, როდესაც ეს ამბავი მიწყნარდებოდა, მაქსიმუმ 2 თვეში მას საპროცესო გარიგებით გაათავისუფლებდნენ.

როგორც ფიფია აცხადებს, ის ამ შეთავაზებით ძალიან შეშინდა, თუმცა ახვლედიანს უთხრა, რომ მზად იყო ეს საქმე შეესრულებინა და მეორე დღეს შეხვედრაზეც შეუთანხმდა.

— შეხვედრა მეორე დღის 8 საათზე, მერიაში ვიცე-მერის კაბინეტში დამითქვა, მე-9 სართულზე. იმავე საღამოს თბილისიდან წავედი. დაახლოებით წელიწადი ერთი ახლობლის სარდაფში ვიმალებოდი, — ამბობს ფიფია.

ფიფიას ინფორმაციით, როდესაც ახვლედიანი დარწმუნდა, რომ ის მასთან არ მივიდოდა, მის ოჯახში ძალოვანები გააგზავნეს და ააწიოკეს.

როგორც ფიფია აცხადებს, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ მის დევნას თავი დაანებეს და მანაც ჩვეულებრივად განაგრძო ცხოვრება.

— 2012 წლის არჩევნებამდე 5 თვით ადრე, მოულოდნელად კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ სოსო თოფურიძემ მობილურით დამირეკა და კატეგორიულად მომთხოვა მოდულში მისვლა. ღამის 12 საათზე ვეახლე თოფურიძეს კუდ-ში. სოსო თოფურიძის კაბინეტიდან საგამოძიებო ოთახში გამიყვანეს, სადაც 4 გამომძიებელი იჯდა. სანამ განცხადებას დამაწერინებდნენ, ერთმა თქვა, აუ, ეს ძალიან ცუდად გამოიყურება და ექიმის დახმარება სჭირდებაო. არ მჭირდება ექიმი, კარგად ვგრძნობ თავს-მეთქი. მოკლედ მომიყვანეს რევოლვერიანი „ექიმი“, რომელმაც წნევა ისე გამიზომა, რომ მკლავზე წნევის აპარატის სახვევიც ვერ დამახვია წესიერად. გამომძიებლებს კი უთხრა, მაღალი წნევა აქვს და ამის დაკითხვა არ შეიძლებაო, თუ დამამშვიდებელ პრეპარატებს არ შევუყვანთ ვენაშიო, — ამბობს ფიფია.

მისი თქმით, ნემსის ნაცვლად აბები მოითხოვა, თუმცა მიხვდა, რომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა და ამიტომ მათ დაემორჩილა.

— ცოტა ხანში იმისთანა ძალასა და ლაპარაკის ხასიათზე მოვედი, რომ თავს ვეღარ ვცნობდი. თამამი და გამბედავი გავხდი. რომ შემატყვეს, „მზად“ ვიყავი, კალამი და ფურცელი მომცეს. რა დავწეროო, ვკითხე. მამუკა ახვლედიანმა შემოგთავაზათ თუ არა პრეზიდენტის ლიკვიდაციაო? თავიდან ბოლომდე დავწერე რაც იყო, — განაცხადა ფიფიამ.

როგორც ის ამბობს, ამის შემდეგ თოფურიძეს დათა ახალაიამ დაურეკა. მისი თქმით, არ იცის რაზე ისაუბრეს ახალაიამ და თოფურიძემ, თუმცა უთხრეს — „ცამდე მართალი კაცი ხარო“, ეს გამოძიება დაიწყება და „ცოტა ხანში გაჩვენებთ ახვლედიანს ბატარეიაზე მიბმულსო“.

ფიფიას განცხადებით, ის კუდში 5 დღე იმყოფებოდა, თუმცა, ოფიციალურად დაკავებული არ იყო. გათავისუფლების შემდეგ კი ისევ დაურეკა რამდენიმე დღეში თოფურიძემ.

— მან მითხრა, დაივიწყე პატარკაციშვილის და გელბახიანის ამბავი, ახლა ეს აქტუალური აღარ არის და ამჯერად გელბახიანი-ალასანიათი, ხოლო პატარკაციშვილი ივანიშვილით უნდა შეცვალოო, — განაცხადა ფიფიამ.

მისი თქმით, მას უნდა გაეკეთებინა განცხადება ტელევიზიით, რომ ალასანიამ პრეზიდენტის ლიკვიდაცია შესთავაზა რამდენიმე მილიონად. მისი თქმით, დაპირდა, რომ შედარებით სხვა განცხადებას გააკეთებდა, რომელიც „სიმართლესთან“ ახლოს იქნებოდა. თუმცა, როგორც ფიფია ამბობს, ის ამჯერადაც გაიქცა და თავს ტყეს აფარებდა.

მისი თქმით, ის ხელს ადებს მამუკა ახვლედიანს, გიგი უგულავას, ზურაბ ადეიშვილს და თან მტკიცებულებები აქვს.

ფიფია აპირებს, ეს მტკიცებულებები პროკურატურას და პარლამენტის საგამოძიებო კომისიას მიაწოდოს.

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲒᲔᲒᲐ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲮᲕᲓᲜᲔᲜ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ ბიძინა ივანიშვილს ბრიუსელში არც ევროკავშირში საქართველოს ელჩი სალომე სამადაშვილი და არც ნატოში მუდმივმოქმედი წარმომადგენელი გეგა მგალობლიშვილი არ დახვდნენ. ამის შესახებ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი წერს.

— საქართველოს ელჩი ევროკავშირში სალომე სამადაშვილი არ დახვედრია ბიძინა ივანიშვილს აეროპორტში. ნატოში ჩვენი ელჩი მგალობლიშვილიც არ იმყოფება ადგილზე. წასულია პრაღაში სააკაშვილის დასახვედრად? — წერს ზურაბიშვილი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში კვირას გაემგზავრა. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, 12-13 ნოემბერს, შეხვედრები იგეგმება ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზოსთან, ევროკომისართან ევროკავშირის გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულესთან, ევროპის პარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცთან, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპეისთან. შეხვედრა ასევე გაიმართება ბელგიაში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან. 14 ნოემბერს დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲘᲛᲞᲘᲩᲛᲔᲜᲢᲘ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ?

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ იურისტთა ასოციაციის თვმჯდომარის თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა დროში გაწელილი და რთულია.

— ეს არის სამსაფეხურიანი ეტაპი. პირველი — ინიცირებისთვის საჭირო პარლამენტართა ხმების 1/3. შემდეგ უნდა მომზადდეს დასკვნა — თუ სისხლის სამართლის დანაშაულზეა საუბარი — უზენაესი სასამართლოს მხრიდან, ხოლო თუ კონსტიტუციის დარღვევაზე — საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან. შემდეგი ეტაპი კი, უშუალოდ იმპიჩმენტის ეტაპია, რომელიც ხმების ძალიან მაღალ კვოტას — 2/3-ს საჭიროებს. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა საკმაოდ გართულებულია და, ამავე დროს, დროშია გაწელილი, — განუცხადა ინტერპრესნიუსს თამარ ჩუგოშვილმა.

მისივე განმარტებით, ამის მიუხედავად, პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესის წარმატებით დასრულება შესაძლებელია.

— თუ პარლამენტის მინიმუმ 100 დეპუტატი იმპიჩმენტის აუცილებლობას გაიზიარებს, რთული პროცედურების მიუხედავად, ეს შესაძლებელია, — აღნიშნა ჩუგოშვილმა.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზურაბ აბაშიძის რუსეთში საქართველოს სპეციალურ წარმომადგენლად დანიშვნამ, არა მხოლოდ პოლიტოლოგთა თუ პოლიტიკოსთა წრეებში, არამედ ქართველ საზოგადოებაშიც გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია!

ერთნი ამთავითვე სკეპტიკურად არიან განწყობილნი, მეორენი კი პირიქით — ზედმეტად ოპტიმისტურად. სინამდვილეში კი, სად არის ე.წ. ოქროს შუალედი, იმ ფონზე როდესაც აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციასთან საქართველომ პირველმა ცალმხრივად გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები, არც თუ იოლი დასადგენია.

ანუ, რას და როდის შესძლებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, საქართველოს უპორტფელო ელჩი რუსეთში, ან საერთოდ შეძლებს რამეს თუ ვერა? აი, მთავარი კითხვები, რომლებზედაც პასუხების გაცემას მკითხველთან ერთად წინამდებარე წერილში შევეცდები...

სკეპტიკოსთა შორის უპირველესად, რა თქმა უნდა, მეცოცხეების პარტიად ქცეული ნაცმოძრაობის ოდიოზური ფიგურები გვევლინებიან. ამიტომ მათ არა სკეპტიკოსებს, არამედ ბოღმა-ღვარძლით გულგასიებულ ჩასაფრებულებს ვუწოდებ, რომელთაგან ერთ-ერთმა „ღირსეულმა ეგზემპლარმა“ აკაკი მინაშვილმა კიდევ ერთხელ „გაგვანათლა“ და იმ „ბრძნული აღმოჩენით“ გადაუწურა წყალი საქართველოს უპორტფელო დესპანს, რომ — სანამ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინია მანამდე ორი ქვეყნის ურთიერთობებში წინსვლა არ იქნება!?

მერე რა რომ ეს პოსტულატი მათსავე აღიარებულ თეზას ეწინააღმდეგება, ოღონდაც პირიქით, რომ სააკაშვილის პერსონაში არ იყო პრობლემა. მთავარი აქ ის გახლავთ, რომ ეს „სანამ“, ანუ პუტინის პრეზიდენტობა დიდი ალბათობით მინიმუმ 12 წელიწადი შეიძლება გაგრძელდეს!

მაშ რა ვქნათ, ერთი ტვინგაცხელებული მიშნაცის მსგავსად, რუსეთის ადგილას ოკეანე წარმოვიდგინოთ, ანუ, მისი არსებობა დავივიწყოთ და 12 წელიწადი ხმა არ გავცეთ?

მაგრამ თავი დავანებოთ აკუკის დემაგოგიაზე პოლემიკას და გიგა ბოკერიაზე ვთქვათ. უშიშროების საბჭოს საშიშ მდივანზე, რომელსაც აკუკისგან განსხვავებით უტვინობას ნამდვილად ვერ დასწამებ. გიგა ბოკერიას განუცხადებია, ზურაბ აბაშიძიემ უნდა იცოდეს, მიუხედავად მისი დანიშვნისა, რუსეთთან კომუნიკაციაში მთავარი მაინც ე.წ. ჟენევის ფორმატი რჩებაო. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთთან ერთი ერთზე, ძია სემის მეთვალყურეობის (როგორი ზუსტი სიტყვაა?) გარეშე საქართველომ არ უნდა ილაპარაკოს?

ეს ის გიგა ბოკერიაა, რომელიც, როგორც ამბობენ (არადა საქართველოში ეს „როგორც ამბობენ“, როგორც წესი სიმართლეა ხოლმე) არჩევნების წინ, ყოველგვარი ფორმატის გარეშე დაძვრებოდა მოსკოვის მაღალ კაბინეტებში, არიქა, ამერიკამ ცოცხების გამო მგონი „დაგვადო“, ვიღუპებით, ახლა გვიშველეთ და რაც დაგვრჩა გაუყიდავი, კი არ მოგყიდით, გიფეშქაშებთო, მაგრამ რუს მუჟიკებსაც თვალებზე ცრემლი მოსდგომიათ უკანალში ცოცხგათხრილი ქართველების გამო და რუსებმაც „დაადეს“ გიგას. ანუ, როგორც იტყვიან, სამი თითის კომბინაციის მიმართულებით გაუშვეს!

თუმცა, გიგას პირმშვენიერმა მეუღლემ აბეზარ ჟურნალისტებს, გიგა მოსკოვში კი არა, აბაზანაშია, შხაპს იღებსო — ეეე, გიგა, გიგა, მაგას ვინ ჭამს, სადა ბანაობ, ბიჭო?..

არა და რა არის ეს ყბადაღებული „ჟენევის ფორმატი“? — აგვისტოს უტვინო ავანტიურის შემდეგ, საქართველომ ტერიტორიებთან ერთად ყველაფერი დაკარგა რისი დაკარგვაც წარმოსადგენი იყო. მათ შორის საერთაშორისო მონიტორინგიც გამორიცხულია სოხუმ-ცხინვალში და ერთადერთ საშუალებად საქართველოს მიერ საკუთარ დაკარგულ ტერიტორიებზე სავიშვიშოდ ე.წ. ჟენევის ფორმატიღა დარჩა, სადაც, თუ არ ვცდები, 4 მხარეა წარმოდგენილი — აშშ-ევროსაბჭო, რუსეთი, საქართველო და აფხაზეთ-ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებები.

არც ის ვიცი დანამდვილებით, თუ რა პერიოდულობით ტარდება შეხვედრები ჟენევაში, მაგრამ იმის თქმა კი დარწმუნებით შეიძლება, რომ ამ ფორმატით არც ერთი, დიახ არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შეთანხმება არ მიღწეულა!

ანუ, ჟენევაში პერიოდულად იმაზე თანხმდებოდნენ, რომ შეთანხმებას ვერაფერში მიაღწიეს...

აქედან გამომდინარე კი ჟენევის ფორმატი საქართველოს ყოფილი ხელისუფლებისთვის, „დავარცხნილ“ ევროპაში პერიოდული ვიზიტების, უფრო გასაგებად და მსუბუქი ჟარგონით კი, ძვირად ღირებული „პაეზდკების“ საბაბად იქცა, სადაც ერთმანეთის მონაცვლეობა-ჩანაცვლების წინასწარ გაწერილი გრაფიკის მკაცრი დაცვით, ნ-ვარსკვლავიან აპარტამენტებში საქმიანი „აეის-როჟებით“, განცხრომით „იცავდნენ“ საქართველოს ინტერესებს „ცოცხების პარტიის“ ოდიოზები: გიგა ბოკერიები, აკუკი მინაშვილები, გოკა გაბაშვილები, გია ბარამიძეები, მიშა მაჭავარიანები თუ „გალსტუკიანი ხვლიკის“ „ოპოზიციური პარტიის“ ვარსკვლავები: გიორგი თარგამაძეები, ლევან ვეფხვაძეები, მაგდა ანიკაშვილები და ა.შ. ოპოზიცია-პოზიციის სხვა მრავალი ცნობადი სახე!..

ხოლო ჩვენი დასავლეთელი „მეგობრებისთვის“ ჟენევის ფორმატი სალაყბო ადგილი იყო და არის. სადაც კიდევ ერთხელ აღიარებდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, კიდევ ერთხელ აღშფოთდებოდნენ ოკუპანტი რუსეთის გამო, ანუ, კიდევ ერთხელ და ეს მერამდენედ თვალში ნაცარს გვაყრიდნენ!

მაშ, რის გაგრძელებისკენ მოუწოდებდა გიგა ბოკერია ზურაბ აბაშიძეს?

მაგრამ სანამ ამ რიტორიკულ კითხვას პასუხს გავცემდეთ, მოდით მცირე ისტორიულ ექსკურსს მივმართოთ. რათა დავინახოთ თუ როგორ მივედით ამ „საოცნებო“ ჟენევის ფორმატამდე...

გახსოვთ ალბათ, მას შემდეგ, რაც პირადად მიშა სააკაშვილმა შეგნებულად (არ ვიცი ეს „შეგნებულად“ საიდან მოდიოდა, მართლაც რეალურად დაპირდა მიშაზე არცთუ ბევრად ჭკვიანი ჯორჯ დაბლიუ ბუში, რუსეთთან კონფრონტაციის შემთხვევაში თანადგომას მიშიკოს, თუ ჩვენს შექანებულ პრეზიდენტს სასურველი რეალობად მოაჩვენა? ალბათ ცოტ-ცოტა ერთიც იყო და მეორეც) უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობები რუსეთთან, რამდენჯერ მიიღო საქართველომ რუსეთისგან სავსებით ერთმნიშვნელოვანი მესიჯები, რომელთა აზრი, თუ დიპლომატიურ „შელუსას“ მოვაშორებთ, ადამიანურ ენაზე ასე ჟღერდა: არ გინდათ ჩვენთან მეგობრობა? ნუ გინდათ, მაგრამ ნა-ტო, ნა-ტოს ძახილსაც მოეშვით, ჩემს სტრატეგიულ მტერს, ამერიკასაც ნუ გაუღებთ კარებს, ნეიტრალიტეტი გამოაცხადეთ, თორემ სა-



ნამ ამერიკა 9 ზღვასა და 9 მთას იქიდან მოვა, მე აგერ ვარ, როკის გვირაბს იქით და — „ცულს მოვიტან ცუნცულასაო“...

ისიც გემახსოვრებათ თუ რა საცინრად აიგდეს მაშინ ნეიტრალიტეტის იდეა ზემოთ ჩამოთვლილმა ოდიოზებმაც და არჩამოთვლილმა „ექსპერტ-პოლიტოლოგებმაც“ — დიახ, აქ შეგნებულად არ ვიხმარე ეპითეტი „სამთავრობო“, რადგანაც იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყველანი ერთ ხმაზე მღეროდნენ, მათ შორის ოპოზიციური პარტიების უმრავლესობაც და ნეიტრალიტეტის სერიოზულად განხილვის მცდელობა მედიაში (მათ შორის თქვენი მონა-მორჩილისაც), როგორც იტყვიან, „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, რჩებოდა!?

ახლა, როგორც იტყვიან ამ იდეამ „ჩაილურის წყალი დალია“, გნებავთ, ნეიტრალიტეტის მატარებელი გავიდა და ახლა გინდაც ძალიან მოვინდომოთ ამ თემაზე არავინ დაგველაპარაკება, რადგანაც საქართველოსგან ამ „მოწყალების“ გარეშეც, რუსეთმა, მას შემდეგ, რაც 2008 წლის აგვისტოში დანაპირები აგვისრულა და „ცუნცულა ცული“ მოიტანა, იმაზე გაცილებით მეტი მიიღო, ვიდრე საქართველოს ნეიტრალიტეტის შემთხვევაში ვარაუდობდა!

აქ საქმე აფხაზეთ-ცხინვალში კი არ არის, რომელთა აღიარებაც რუსეთისთვის საერთაშორისო თავის ტკივილი უფროა, ვიდრე ტერიტორიული შენაძენით სარგებელი. არამედ რუსეთმა, ამ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების სახით თითქმის ასპროცენტიანი გარანტია მიიღო იმისა, რომ დღეიდან და „ას წელიწადს კიდო“, კავკასიაში ნატო ვერ შემოვა, ანუ, იგივე საქართველოს ნატოში მიღებისთვის ხმის მიცემას, ბალტიის თუ პოლონეთის მსგავსი ურა-დემოკრატი ქვეყნების (თუმცა ახლა ეგეც საკითხავია) გარდა, ალიანსის სხვა წევრებიდან, ალბათ, ვერავინ გარისკავს!..

თუ მაინცდამაინც (ვიმეორებ, მე პირადად არ მჯერა ამის, მაგრამ...) ჰიპოტეტურად შეიძლება საქართველოს ნატოში გაწევრების წარმოდგენა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საქართველო ერთხელ და სამუდამოდ უარს იტყვის აფხაზეთ-ცხინვალზე და თავად ვცნობთ მათ დამოუკიდებლობას. ამას კი ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაბედავს!?

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ძალისმიერი, სამხედრო გზაც რომ აბსოლუტური უტოპიაა, ეს შიშველი გადარეული სააკაშვილისთვისაც კი ცხადი გახდა და მით უმეტეს ამის ილუზია ვერ ექნებათ ქართულ ოცნებაში.

ის მიამიტური აზრიც გამორიცხულია, რომ რუსეთს, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაშიც კი, ერთი ხელის აქნევით შეუძლია საქართველოს იურისდიქციაში აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნება — ასეთი ჯადოსნური ჯოხი თუ როდესმე ჰქონდა რუსეთს, დღეს ნამდვილად აღარ აქვს!

მაშ რაზე უნდა ველაპარაკოთ რუსეთს ერთი ერთზე, რითი უნდა დავიწყოთ? ერთადერთი, რაც რუსეთთან ჯერ კიდევ ასე თუ ისე მნიშვნელოვანწილად გვაკავშირებს, ეს კულტურული ურთიერთობების რაღაც ნარჩენები და აქედან გამომდინარე ორმხრივი ნოსტალგიაა იმ ძველი, მასშტაბური ურთიერთობების მიმართ, როდესაც ძნელად მიხვდებოდი, სად იწყებოდა ერთი კულტურა და სად მთავრდებოდა მეორე...

და ყველაზე მთავარი, ერთმორწმუნეობა — ჩვენი პატრიარქის ბრძნული მოღვაწეობის გამო ამ მიმართულებით, არა თუ შენარჩუნდა ორ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ევქარისტული ძმობა-ერთობა, არამედ თუ გავითვალისწინებთ ურთულეს პოლიტიკურ კონტაქტს, შეიძლება ითქვას, რომ ეს ურთიერთობები უფრო გაძლიერდა — გახსოვთ ალბათ, როგორ უშლიდა ნერვებს ჩვენი პატრიარქი თავისუფლების ინსტიტუტიდან ხელისუფლებაში მოკალათებულ უნასებს თავისი „უდროო და მოღალატური“ ვიზიტებით მოსკოვში...

კულტურულ-სარწმუნეობრივი, ეკონომიკური თემების შემდეგ, იქნება იმასაც მივაღწიოთ, რომ რუსეთმა ასევე ერთი ერთზე საუბრის შესაძლებლობა აფხაზებთან და ოსებთანაც მოგვცეს და ვინ იცის, იქნება შორეულ მომავალში რაღაცა ფორმით პოლიტიკური თანაცხოვრების კონტურებიც გამოიკვეთოს!?

რაც შეეხება უახლოეს თვალსაწიერს, რეალისტები უნდა ვიყოთ — პირადად მე კმაყოფილი ვიქნები თუ ჩემი სიცოცხლის მანძილზე, სანამ თვალი და მუხლი მიჭრის, იმას მაინც მოვესწრები, რომ ძველებურად ჩამესვლებოდეს მიწიერ სამოთხე აფხაზეთში, ვისთანაც ჩემი ჯეელობის ტკბილი მოგონებები მაკავშირებს...

მომიტევეთ ეს მცირე ლირიული გადახვევა და ახლა ისევ მკაცრ პროზას დავუბრუნდეთ — მაშ რამ შეაშფოთა „თავისუფლების ინსტიტუტის“ აღზრდილი რეზო ამაშუკელის უზუსტესი შედარებით „გამძღარი, მთვლემარე პითონი“ გიგა ბოკერია, უფრო სწორედ მისი ამერიკელი ბოსები?

რამ და, ემანდ რუსებთან ერთი ერთზე დარჩენილმა საქართველომ, ისეთი რამ არ მოილაპარაკოს რუსეთთან, რაც საქართველოში აშშ-ის მოკლევადიან ინტერესებს საფრთხის ქვეშ დააყენებსო. მისი ინტერესი კი ერთია — საქართველოს, როგორც ტერიტორიის, პლაცდარმად გამოყენება ირანის წინააღმდეგ უეჭველ ომში. დიახ, უეჭველ, რადგან ანალიტიკოსთა აზრით, ირანმა ან უკვე შექმნა, ან ძალიან ახლოს არის ატომური ბომბის შექმნასთან! აქედან გამომდინარე მიახლოებით თარიღსაც ასახელებენ — აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მიუხედავად იმისა თუ ვინ გაიმარჯვებს, არაუგვიანეს ა.წ. დეკემბრის ბოლოს, ისრაელი პირველი დაარტყამს ირანს. ეს რომ სარწმუნო ვარაუდია, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ისრაელმა საყოველთაო სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა!

ანალიტიკოსთა აზრითვე, ეს „ლოკალური კონფლიქტი“ უეჭველად გადაიზრდება საყოველთაო „ჯვაროსნულ ლაშქრობაში“, არაბული, მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ ტოტალურ ომში — პენტაგონში ამ ბოლო დროს მომწიფდა აზრი, რომ არაბული, მაჰმადიანური სამყარო გათავხედდა და დროა, მას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ!

ამ ყველაფრის პასიური მაყურებელი რუსეთი რომ ვერ და არ იქნება, ცხადია და, იმავე ანალიტიკოსთა აზრით, საქართველოს თანხმობით თუ მის გარეშე, როგორც მინიმუმ რუსეთი გიუმრის ბაზამდე პირდაპირ სახმელეთო კორიდორს გაჭრის საქართველოზე!

ეს ისე, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ მოვლენათა განვითარების ასეთი აპოკალიფსური ვარიანტის ალბათობა, არც თუ მცირეა...

უფრო მშვიდობიანი ვარიანტის შემთხვევაშიც, გიგა ბოკერიას ბოსების ამჯერად გრძელვადიან ინტერესებში მაინც არ შედის საქართველოს რუსეთთან ამერიკის თვალყურის გარეშე დიალოგი. რადგანაც ორმა მართლმადიდებელმა ერმა, რომლებიც ერთნაირი სიმძაფრით განიცდიან გოლბალიზაციისგან მომდინარე მენტალური გადაგვარების საფრთხეებს, სულ ადვილად შეიძლება, რომ ანტილიბერასტული კოალიცია შეკრან.

რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილის პროდასავლური კურსი მხოლოდ პრაგმატული რიტორიკაა და არა იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი ე.წ. რუსული პროექტი მგონია. არამედ იმიტომ, რომ, ალბათ, ბიძინასაც კარგად მოეხსენება ნა-ტო, ნა-ტო-ს ძახილის, არა მხოლოდ უპერსპექტივობა, არამედ ე.წ. დასავლური ღირებულებების, დამღუპველობა ქართული მენტალობისთვის, რადგანაც ის ჭეშმარიტი დასავლური ღირებულებები რომლებიც აგრერიგად გვხიბლავდა, დღეს ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების იძულებაში და ათასგვარ სხვა, სულის წამბილწველ გარყვნილებებში ტრანსფორმირდა.

იქამდეც მივედით, რომ დასავლეთიდან 100%-ით დაფინანსებული ჩვენი ენჯეოები, ქსენოფობია-ჰომოფობიად უთვლიან ქართველ კაცს იმის სრულიად ბუნებრივ სურვილს, რომ ქართველს, ქართველი სიძე-რძალი უნდოდეს და საქართველოს, ქართველი პრეზიდენტი ჰყავდეს...

დავით მხეიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სახალხო დამცველი

ვინ და რატომ სდებს შარს ყველაზე ღირსეულ კანდიდატს?

„ქართული ოცნების“ (უფრო ზუსტად, ბიძინა ივანიშვილის) მხარდამჭერის რეპლიკა

„უმრავლესობის სამივე ფრაქცია შევთანხმდით, რომ ჩვენი კანდიდატი იქნება ნინა ხატისკაცი“ — განაცხადა პარლამენტის უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ.

ადამიანის უფლებები, ჩვენთან, ყველაზე მეტად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ირღვევა.ამიტომ სასჯელაღსრულების მინისტრს სოზარ სუბარს თავი უნდა შეეკავებინა ნებისმიერი კანდიდატის დასახელებისგან ომბუდსმენის ვაკანტურ თანამდებობაზე. მან კი სწორედ ხატისკაცი დაასახელა ამ ოციოდე დღის წინათ. მართალია, ხატისკაცმა მაშინვე უარი თქვა ამ არაოფიციალურ შეთავაზებაზე (თამარ გურჩიანის სასარგებლოდ), მაგრამ, როგორც ახლა ირკვევა, სახალხო დამცველის თანამდებობის დაკავების საწინააღმდეგო მას არაფერი არ ჰქონია. ჩემდა (ალბათ, ბევრისთვისაც) სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“, ერთხმად(!), იგი შეარჩია პარლამენტში წარსადგენად, რაც, ფაქტობრივად, დანიშვნის ტოლფასია.

ახალ ხელისუფლებას თავისი შეხედულებისამებრ რომ გაეკეთებინა არჩევანი მეტ-ნაკლებად მისაღები კანდიდატებიდან, ამაში ცუდს ბევრს ვერაფერს აღმოვაჩენდით, მაგრამ **სახალხო დამცველის პოსტზე აბსოლუტურად(!) შეუფერებელი კანდიდატურის წარდგენა, არამარტო მოულოდნელი, არამედ კატეგორიულად მიუღებელიცაა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის!**

ენერგეტიკის და სხვა მინისტრების დანიშვნას რომ არ ეკითხებიან ხალხს, ამაში არაფერია უცნაური, ასეც უნდა(!) იყოს, მაგრამ ხალხს არ შეეკითხო, თუ ვინ სურს მას საკუთარი თავის დამცველად — „სახალხო დამცველად“, ეს, უბრალოდ, არ ეკადრება ხელისუფლებას.

რა მაქვს სიმპათიური ქალბატონის, ნინა ხატისკაცის საწინააღმდეგო პირადად მე? პირადულად — არც არაფერი! მისი სახელი და გვარი 2012 წლის აგვისტომდე არც გამეგონა, ისევე, როგორც — სხვას. მას გულით თანავუგრძნობდი, როდესაც სამსახურიდან გაათავისუფლეს, და შემდგომშიც, როცა მეუღლე ჟორჟოლიანი მესტიაში „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის უფროსი, დააპატიმრეს წინასაარჩევნოდ.

მაშ რას ვერჩი ამ პატიოსან ადამიანს? მას, პირადად, თითქმის(!) არაფერს. თითქმის იმიტომ, რომ, **როდესაც იმ სფეროში წარგადგენენ უმაღლეს(!) თანამდებობაზე, რომელ სფეროშიც, საერთოდ, არასოდეს არ გიმუშავია, არაფრის დიდებით არ უნდა დათანხმდე.**

გავიხსენოთ ძველი ხელისუფლების მიერ მინისტრებად, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრადაც(!), დანიშნული გოგო-ბიჭები, ან სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად „არჩეული“ შემთხვევითი ადამიანები. **რა განსხვავება იქნება ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის, თუ „სახალხო დამცველად“ ახალიც, არა უფლებადამცველს, არამედ „საარჩევნო(!) საკითხებზე“ მომუშავე სპეციალისტს დაგვისვამს?!** აკი, თავად ხატისკაცი აცხადებს, „საზოგადოებრივი უფლებადამცველი“ — ასეთი სტატუსი არასოდეს მქონიაო“! ხატისკაცის შრომითი საქმიანობიდან გამომდინარე, სრულებით არ იქნება მოულოდნელი თუ მომავალში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედაც ვიხილავთ მას, მაგრამ ახლა — სახალხო დამცველად?! რაღა ეკა ტყეშელაშვილი საგარეო მინისტრად და, რაღა ნინა ხატისკაცი სახალხო დამცველად!

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, დიდი იმედების და დაპირებების **მომლოდინე საზოგადოებას არ შეიძლება დამცველად დაუნიშნო ადამიანი, რომლის სახელი სულ ორჯერ გაიგონა ამ ხალხმა** (ტყუილად, მხოლოდ სახელისთვის ხომ არ ჰქვია ამ საპატიო თანამდებობას „სახალხო დამცველი“!) და, **რომელსაც თითქმის არავითარი თეორიული ცოდნა და, რაც მთავარია, არავითარი პრაქტიკული გამოცდილება არ გააჩნია უფლებადაცვის სფეროში მუშაობის.**

არ შეიძლება ისეთი პირის კანდიდატად წარდგენაც კი, რომლის **პოზიცია, პოლიტიკური შეხედულებანის სხვადასხვა მტკივნეულ საკითხზე, კერძოდ, მართლმადიდებლობაზე, ე.წ. უმცირესობებზე და სხვა, ფართო საზოგადოებისთვის აბსოლუტურად უცნობია,** რომელსაც სხვა ოთხი კანდიდატის (თამარ გურჩიანი, ლია მუხაშავრია, გელა ნიკოლეიშვილი, დიმიტრი ლორთქიფანიძე) მსგავსად არც ერთ **საჯარო გამოსვლასა და დისკუსიაში არ მიუღია მონაწილეობა და არ უპასუხია იმ ხალხის შეკითხვებზე, რომლის დამცველობის პრეტენზიაც, თურმე, აქვს.**

უარყოფითად აღიქმება, აგრეთვე, ასეთ პოსტზე ისეთი ადამიანის დანიშვნა, რომლის მეუღლე კოალიცია „ქართული ოცნება — ბიძინა ივანიშვილის“, ანუ ხელისუფლებაში მოსული პარტიული გაერთიანების აქტიური წევრია (საარჩევნო შტაბის უფროსი). **კანდიდატების შერჩევა უნდა მომხდარიყო უპარტიოების ან ძველი ხელისუფლების ოპოზიციაში მყოფი სხვა პარტიების რიგებიდან, ცხადია, შესაბამისი დამსახურების და გამოცდილების გათვალისწინებით.**

ოფიციალურად(!) დასახელებული ოთხი კანდიდატურის არგანხილვა პარლამენტში და მხოლოდ ერთზე, არაოფიციალური შეთავაზების მქონეზე, შეჩერება, არსებითად, არა მარტო ამ კანდიდატების დამცირებაა, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში გამუდმებით მონაწილეობდნენ საჯარო გამოსვლებსა და შეხვედრებში (სამი მათგანი, გურჩიანის გამოკლებით, განსაკუთრებით კი დიმიტრი ლორთქიფანიძე, აქტიურ საქმიანობას ეწეოდა თბილისის, ქუთაისის, ქსნის თუ რუსთავის საპატიმროებში), **ეს შეურაცხყოფაცაა იმ 350 ორგანიზაციის და დაახლ. 100 000 ხელმომწერის,** რომლებმაც სახალხო დამცველად ლია მუხაშავრია, თამარ გურჩიანი, გელა ნიკოლეიშვილი თუ დიმიტრი ლორთქიფანიძე წარადგინეს! ასეთ არაობიექტურ და საპატივცემულო ხალხის ღირსების შემლახავ გადაწყვეტილებას ნამდვილად არ ველოდი „ქართული ოცნებისგან“! იმედს ვიტოვებ, ამ არასასიამოვნო სიტუაციიდან გამოსავალს იპოვის.

(ეტყობა ამ **უხერხულობას** მიხედავენ „ქართულ ოცნებაში“ და ბოლო მომენტში დათანმხდებიან, სხვა კანდიდატებსაც მოუსმინონ პარლამენტში — **რედ.**)

იქნებ, განსაკუთრებული შრომითი ბიოგრაფია აქვს ხატისკაცს, ან თავი გამოიჩინა რაიმეთი უკანასკნელ წლებში და ამან განაპირობა სახალხო დამცველად მისი ყველასთვის მოულოდნელი წარდგენა.ამ მხრივაც, ბევრს ვერაფერს ვპოულობთ, თუ არ ჩავთვლით, რომ ოთხი წელი, 2012 წლის აგვისტომდე, მუშაობდა ე.წ. არასამთავრობო კვლევით(!) ორგანიზაციაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ (2000 წელს დაარსებულში და, რაღა თქმა უნდა, უცხოეთიდან დაფინანსებულში!), რომელიც, თურმე, მსოფლიოში კორუფციის აღმოსაფხვრელად იღვწის (იმიტომაც მოსპეს!) და, ნაწილობრივ, საარჩევნო საკითხებსაც აგვარებს (იმიტომაც მოაგვარეს!), და რომლის მეთვალყურე ხელმძღვანელი და დამკვალიანებელი(!), საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ იმ ინსტიტუტის — „ენდი-აის“ ყოფილი დირექტორი, რომელსაც დღეს ჩვენთვის ყველასთვის კარგად ცნობილი და პატივსაცემი ლუის ნავარო წარმოადგენს! ე.ი. არათუ ხატისკაცს, არამედ ამ ორგანიზაციას მთლიანად, დასახული მიზნებიდან გამომდინარე, შეხება არა აქვს უფლებადამცველობასთან. **გურჩიანის ერთ-ერთ მინუსად მისი თითქმის მხოლოდ თეორიული საქმიანობა ითვლებოდა, ხატისკაცს კი ეს თეორიული მომზადებაც არა აქვს!** მაშინ როცა დანარჩენ სამს — მუხაშავრიას, ნიკოლეიშვილს და ლორთქიფანიძეს, შეიძლება ითქვას, ჭიპი აქვთ მოჭრილი ამ სფეროში.

მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ ერთ, ჩემი აზრით, ყველაზე ღირსეულ კანდიდატზე და, დამატებით, მოკლედ ვიტყვი იმათ გასაგონად, ვინც მას შარს სდებს ჰომოფობიაში.

რამდენიმე წლის წინათ ვინმეს შეურაცხმყოფელი, გნებავთ, უტაქტოდ ნათქვამი (უხშირესად კი, კონტექსტიდან ამოგლეჯილი სიტყვები) არ შეიძლება კაცმა ხელზე დაიხვიო დღეს და ხაზი გადაუსვა ამ კონკრეტული პიროვნების დამსახურებას, წლების მანძილზე უშურველად გაღებულ ამაგს, ეს დიდი უმადურობაა. ასეთი სიტყვიერი გადაცდომებისგან არავინ არის დაზღვეული, და ამის მოწმენი ვართ არა მარტო ჩვენთან, არამედ, უცხოეთის დემოკრატიულად წოდებულ ქვეყნებშიც. პირიდან გამოფრენილი ამ კატეგორიის სიტყვები, რომლებზეც „შარის“ მოდება შეიძლება (როცა ამის ძალიან დიდი სურვილი აქვს ვინმეს!), ჰქონიათ პრეზიდენტსაც, დეპუტატებსაც, მინისტრობის კანდიდატებსაც და პრემიერ-მინისტრსაც, მაგრამ არც ერთისთვის ეს არ გამხდარა ხელისშემშლელი მიზეზი არჩევის, დანიშვნის თუ მუშაობის გაგრძელების. რატომღაც, მხოლოდ დიმიტრი ლორთქიფანიძეზე მიდიან შტურმით „არასამთავრობოები“, უფრო სწორად მათი მარჩენალი-პატრონები, რომლებმაც, დიდი ალბათობით, პირდაპირი, უფრო კი ირიბი ზეწოლა განახორციელეს ახალ ხელისუფლებაზე! სხვაგვარი ახსნა ძალიან ჭირს, რადგანაც **ლორთქიფანიძესავით მომზადებული, განათლებული, წესიერი და ხალხის გულშემატკივარი კაცი სანთლით საძებნელია ყველა პატიოსანი ხელისუფლებისთვის!**

იაკობ ლეჟავა,
7 ნოემბერი, 2012

P. S. თუკი, ყველაფერში თავის რელსებზე გადაგვიყვანს დასავლეთი, არა მგონია, ეს ჩვენს ქვეყანას წაადგეს!
ი.ლ.

◎ ალიან-ჩალიანი

სტუდენტები რექტორის წინააღმდეგ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები და „დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია“ საპროტესტო აქციების დაწყებისკენ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებსაც მოუწოდებენ. ამის შესახებ განცხადება ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსთან მიმდინარე საპროტესტო აქციაზე გაკეთდა.

როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები აცხადებენ, ყველამ ხმა უნდა ამოიღოს იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რაც უნივერსიტეტებში ხდება. ამასთან, სტუდენტებს შეუერთდა ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი ლექტორი ნოდარ უღრელიძე.

როგორც ნოდარ უღრელიძე „ინტერპრესნიუსთან„ საუბარში აცხადებს, აუცილებელია, რომ გადადგეს რექტორი ფრანგიშვილი დაკავებული თანამდებობიდან.

— მან პირადად დაარბია რადიოტექნიკის კათედრა იმ მიზნით, რომ შემდეგ მის ნაცვლად გახსნილიყო ფიზიკის კათედრა და ლენტის გაჭრით გაეხსნათ პრეზიდენტს და მაშინდელ პრემიერ-მინისტრს. ასევე, დასადგენია სად მიდის ფინანსები, გაბერილი შტატები რატომაა უნივერსიტეტში და ა.შ., — განაცხადა უღრელიძემ.

საკადრო ცვლილებები სახელმწიფო აუდიტის სამსახურში

უწყების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსად ყოფილი დეპუტატი ბეჟან ბუცხრიკიძე დაინიშნა.

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა კი ასევე ყოფილმა პარლამენტარმა ანდრო ალავიძემ დაიკავა.

როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურში განაცხადეს, საკადრო ცვლილება გასულ კვირას განხორციელდა.

ბეჟან ბუცხრიკიძემ თანამდებობაზე ვასილ გიგოლაშვილი, ხოლო ანდრო ალავიძემ — ირენა მელუა შეცვალა.

სარესტავრაციო სამუშაოები დროებით შეჩერდა

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილის მარინე მიზანდარის ინფორმაციით, თბილისისა და თელავის ძველ უბნებში სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დროებით შეჩერდება.

როგორც მარინე მიზანდარმა განაცხადა, კულტურის სფეროში უამრავი პრობლემაა დაგროვილი, თუმცა, როგორც მინისტრის მოადგილე, პირველ რიგში, თბილისისა და თელავის ძველ უბნებში დაწყებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს იმ დრომდე შეაჩერებს, სანამ აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით პროფესიონალების კონსულტაცია-დასკვნები არ მომზადდება.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ არის წინადადება!

ავსა იქ და კაი გინდა-
ესე ვინმცა მოიგონა?
ავსა ავი არ მიეგოს,
მსჯავრი რითლა აიწონა?
სულხან-საბა ორბელიანი

თვითმმართველობის რიგგარეშე არჩევნები უნდა დაინიშნოს

პირველ ოქტომბერს ქართველი ხალხის ანტიეროვნულ რეჟიმზე გამარჯვების მიუხედავად, ადგილობრივ თვითმმართველობებში არსებული მდგომარეობით კვლავ ოპოზიციურ რეჟიმში გვიხდება ცხოვრება.

კერძოდ, ქ. ბათუმის საკრებულოსა და საერთოდ ნაცმოძრაობის წარმომადგენელნი თამამად და, შეიძლება ითქვას, ურცხვად აცხადებენ, რომ მათ დაწყებული პროექტები უნდა განახორციელონ, რაზედაც მინდა გავამახვილო ყურადღება.

როდესაც ნაცმოძრაობის პროექტებზე ვლაპარაკობთ, კონკრეტულად ხაზი უნდა გაესვას რომელ პროექტზე, რადგანაც სწორედ, რომ მათი პროექტებისაგან ჩვენ, წლების მანძილზე ვიცავდით ქართულ კულტურას, ეროვნულ მენტალიტეტსა და ღირსებას, მატერიალურ დოვლათს და სულიერ ღირებულებებს განადგურებისაგან. ამიტომ უნდა განვასხვავოთ კარგი ცუდისაგან და კიდევ ერთხელ გამოვიტანოთ საბოლოო დასკვნა.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საარჩევნო კამპანიის დროს ნაცმოძრაობის მიერ წამოწყებული პროექტი — განვადებით ყოველ ოჯახში გაზის შეყვანა, ეს კარგია და მივესალმებით, მაგრამ ბათუმი რომ უნდა გადაექციათ ტაილანდურ მოდელად, ლას-ვეგასად, როგორც არაერთხელ უთქვამთ „სექს-ინდუსტრიის“ ქალაქად, რაც სანახევროდ განახორციელეს კიდეც, საროსკიპოებისა და საერთოდ გარყვნილების ცენტრად აქციეს, ეს ცუდია და დაუშვებელი.

ჩემს ხელთ არის სარეკლამო ჟურნალი „ბათუმის საოცრება“ ინგლისურ ენაზე, სადაც ნაციონალური მოძრაობის პროექტების თანახმად ბათუმის ცხოვრებიდან სრულიად გამორიცხულია ქართული ეროვნული ღირებულებები, ღვაწლმოსილ წინაპართა ძეგლები, რითაც შეიძლებოდა თავი მოგვეწონებინა უცხოელების წინაშე, რომ ჩვენ ასეთი წინაპრები გვყავდა, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც შეგვახსენებენ: „გახსოვდეთ ვისი გორისანი ხართო“. ერთადერთი მთავარი „ღირსშესანიშნაობა“ აქ არის ძვირად ღირებული მაგრამ იაფფასიანი შიშველი ნეპტუნის, ნინოსა და ალის ძეგლები. მათ სიას დაემატა ბულვარში, თვალსაჩინო ადგილზე ფრანგი მებაღის დე ალფონსის ძეგლი. მაშინ, როცა შეუფერებელ ადგილზე გადატანილი მემედ აბაშიძის ძეგლი დამცირებულად გამოიყურება, გმირთა მემორიალი განადგურებულია, ეროვნული გმირის კოსტავას ძეგლის ნაცვლად თურქეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო — მინარეთი დადგეს და მას ჭაჭის კოშკი უწოდეს. ამით შეურაცხყოფა მიაყენეს ქართველ და თურქ ხალხებს...

ეს არ არის ყველაფერი, თუ უსამართლობას დროზე არ მოეღება ბოლო. აქვე ყურადღება მინდა გავამახვილო სოფ. ნიგვზიანში (ლანჩხუთი) ქრისტიან და მუსლიმან ძმებს შორის მომხდარ დაპირისპირებაზე, რომელიც უდავოდ ნაციონალური მოძრაობის პროვოკაციის შედეგია. სოფლის მცხოვრებნი გაკვირვებული და გულდაწყვეტილები აღიარებდნენ, რომ მათი თანაცხოვრების 30 წლის მანძილზე არასდროს არავითარი უკმაყოფილება არ ყოფილა, მხოლოდ ორი წლის წინათ დაიწყო განხეთქილება მათ შორის რელიგიურ თემაზე და თუ რატომ მოხდა ეს, მათთვის გაუგებარია. ამ კითხვაზე პასუხი ნათელია, რაზეც

მინდა გავამახვილო ხელისუფლებისა და მოსახლეობის ყურადღება.

როგორც უკვე ითქვა, სოფელ ნიგვზიანში რელიგიათა შორის განხეთქილება პირველად 2 წლის წინათ შეინიშნა. ეს ის დროა, როდესაც პირველად ქ. ბათუმში, აჭარისა და მესხეთის ტერიტორიაზე თურქეთის სახელმწიფოს მიერ ისტორიული ძეგლების — მეჩეთების აღდგენა-მშენებლობის საკითხი დაისვა, რამაც მთლიანად საქართველოში მოსახლეობის მღელვარება გამოიწვია. მაშინვე გასაგები გახდა ჩვენთვის, რომ აქ რელიგია არაფერ შუაში იყო და ხელისუფლება რელიგიის თემით სპეკულირებდა, რითიც სურდა რეგიონში დესტაბილიზაციის გამოწვევა. საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით თურქეთის რეაქციული ძალები გააქტიურდნენ მთლიანად საქართველოს მასშტაბით წალკაში, მარნეულში, მათ შორის გურიაში და სხვაგან, აჭარიდან კომპაქტურად ჩასახლებულ ქართველ მუსლიმანებთან მიმართებაში, რელიგიური თემის წამოწევით, რისთვისაც დაფინანსებას არ იშურებდნენ... სწორედ, ხელისუფლების მხრიდან პროვოკაცია იყო ნიგვზიანში ორი წლის წინათ რელიგიათა შორის განხეთქილების მიზეზი, ისევე როგორც აჭარაში, აზიზის მეჩეთის თემა. პოლიტიკურ კრიზისში მყოფი სააკაშვილის ხელისუფლებისათვის რეგიონში დესტაბილიზაცია, რომელიც შესაძლებელია კუთხეთა შორის კონფლიქტში გადაზრდილიყო, ერთადერთი მთავარი გამოსავალი იყო. ამ აზრის ჭეშმარიტებას მოწმობს პირველი ოქტომბრის არჩევნებში მათი დამარცხება.

ნიგვზიანში დღეს მდგომარეობის სტაბილურობა მიღწეულია კანონის შიშით და არა მიმტევებლობით, დიდსულოვნებით. ამიტომ ეს თემა ნაცმოძრაობის ინტერესებიდან გამომდინარე, კვლავ შეიძლება აბოლდეს...

როგორც ხედავთ, ნაციონალური მოძრაობის პროექტებმა, რომლითაც მათ ასე მოაქვთ თავი, აჭარასა და საერთოდ საქართველოს სარგებელი მინიმალური მოუტანა, ზიანი კი, მატერიალური და ეროვნული ცნობიერების თვალსაზრისით აუნაზღაურებელი. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ არის ყველაფერი, თუ კვლავ ასე გაგრძელდა.

მეორე საკითხი, ნაცმოძრაობის პროექტების პარალელურად, არის მოსახლეობაში უსამართლობის გრძნობის განცდა. ის ადამიანები, ვინც წლების მანძილზე თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებითა და ხშირად ქუჩაში აქციებზე, სიცოცხლის რისკის ფასად რეჟიმს ებრძოდა, კვლავ უყურადღებოდ რჩებიან. ქალაქის საკრებულოებში და სხვა სამსახურებში კი ისევ ის, ქვეყნის დამაქცევარი პროექტების ავტორები და მათი ლობირებით მონურად შემსრულებელი კადრები რჩებიან. ასეთი დამოკიდებულება უკვე აჩენს ბზარს უკმაყოფილო მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის, რაც არ უნდა დავუშვათ.

ამიტომ, ყველაფერს სამართლიანად განსჯა და გადაწყვეტილების მიღება ჭირდება. გადაწყვეტილებას კი, რომ ნაცმოძრაობა არ შეიძლება კიდევ ორი წელი ადგილობრივ გამგეობებში უმრავლესობით რჩებოდნენ და, ფაქტობრივად, განაგებდნენ ქვეყანას, ვერც ჩვენი ხალხი და ვერც ჩვენი ხელისუფლება ვერ ბედავს ერთი მთავარი მიზეზის გამო: ეს არის შიში იმისა, თუ რას იტყვიან ევროპა, ამერიკა, ისინი ხომ 4 წლით არიან არჩეულები და არადემოკრატიულობაში დაგვადანაშაულებენო.

ვფიქრობ, ეს არის ჩვენი პროვინციალიზმის უკიდურესი გამოვლინება. როგორც ჩანს, ეს ახასიათებს დემოკრატიის განვითარების პროცესს. ეს რომ გადავლახოთ და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, აღსდგეს სამართლიანობა და დაინიშნოს ადგილობრივი თვითმართველობების არჩევნები, ამისათვის ვფიქრობ, ევროპელებს, ამერიკელებს და უპირველესად საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: პარიზის ცენტრიდან ჟანა დარკის, ვოლტერის ან მათი სხვა ღვაწლმოსილი თანამემამულის ძეგლი რომ გადეტანათ მეორე ხარისხოვან ადგილზე და მის ნაცვლად არაფრისმთქმელი ქანდაკება დაედგათ, რას იტყოდნენ ფრანგები? ან საფრანგეთში ფრანგ მოქალაქეს, მუშას ფაბრიკაში 100-150 ლარს (50-80 ევრო), მშენებლობაზე კი 400-500 ლარს (200 ევროს) უხდიდნენ, ამასთანავე, ისინი საკუთარ ქვეყანაში რვასაათიან სამუშაო დროს ითხოვდნენ უცხოელი ინვესტორისაგან, ამ დროს კი მათ გვერდით არალეგალი სამჯერ და ათჯერ მეტს — 1500 და 2000 ევროს ღებულობს, ასეთ შემთხვევაში რას უზამდნენ ფრანგები მათ საკრებულოს უმრავლესობას, ქალაქის თავს და პრეზიდენტს? პასუხი ერთია: პირველ რიგში, ასეთი რამ მათთვის წარმოუდგენელია, ასეთ შემთხვევაში დაარბევდნენ ქალაქს, ხელმძღვანელებს კი კანონმდებლები ციხეში გაუშვებდნენ.

დასასრულ მინდა აღვნიშნო შემდეგი: კანონებს ქმნიან ადამიანები. ევროპელებმა შექმნეს კარგი კანონები და ყველას აიძულებენ პატივისცემით მოექცნენ. ჩვენ, ყველფერში ევროპელებს შევყურებთ და იმის შიშით, თუ რას იტყვიან ისინი, სამართლიანობის აღდგენა ვერ მოგვიხერხებია. უნდა შეგვეძლოს ჩვენი ქვეყნის აუცილებლობიდან გამომდინარე, ადგილობრივ თვითმმართველობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, კერძოდ: დაინიშნოს თვითმმართველობის რიგგარეშე არჩევნები. რაც სამართლიანია, ის აუცილებლად დემოკრატიული იქნება.

ასეთი მიდგომით, საერთო დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით, ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების საფუძველზე მოგვეცემა საშუალება ქართული დემოკრატიული ნაირსახეობის განვითარებისა, ქართველ ერს საკუთარ ქვეყანაში და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე კიდევ უფრო მეტ ღირსებასა და პატივს შესძენს.

რიგგარეშე თვითმმართველობების არჩევნების ჩატარება, რასაც ჩვენი მოსახლეობა მოელის, მომავალში, საშუალებას მოგვცემს არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად იცვლებოდეს ქალაქებისა და რაიონების თვითმმართველობები. ეს უფრო ჰარმონიულს გახდის ცენტრისა და რეგიონების ერთსულოვნებას ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე, განამტკიცებს ნდობას მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის.

ნიაზ ბოლქვაძე,
ფილოსოფოსი, მწერალი,
„მამულიშვილთა კავშირის“ თავმჯდომარე

◎ გულის ამონაკვნესი

ჩიორა მომნატრებია, ხალხო!

რაღა დაგიმალოთ და, ეს ჩვენი ჩიტუნია ჩიორა, სადღაც რომ მიიბუჩქა (ბუჩქებზე ერთთავად ჩვენი მაღალი, ჯერაც ისევ პრეზიდენტად წოდებული მახსენდება, გოგო-ბიჭებს ბუჩქებში რომ მიერეკებოდა), თითქოს მომნატრებია. ჰო, ჩიორა ერთბაშად გაქრა ეკრანიდან, არადა ისე ხშირად შემოუუფუნდებოდა, თვალებაბრიალებული შემოიჭრებოდა ჩემს ოთახში, ისე დამიწყებდა ჭკუის დარიგებას, ისე აჭიკჭიკდებოდა ნაცების უძლეველობაზე...

თავიდან მისი დაბოლება გულს მირევდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ადამიანის გამძლეობის, შემგუებლობის თავის დაცვის უნარისა, მერე და მერე, ფუი ეშმაკს, ფიქრი სხვაგან გამირბოდა, მისი ხმის მიღმა სულ სხვა სამყაროში ვეძებდი რაღაცას. ჰოდა, ახლა უამისობა ძალიან ტეხავს.

და განა მარტო მისდამი გამიჩნდა ნოსტალგია? აი, კუბლაშვილი რომ არის (პარლამენტარზე ვლაპარაკობ, თორემ იმ უსამართლო მოსამართლეთა მეპატრონე ისედაც ძვირად სახილველი იყო ეკრანზე), ხშირ-ხშირად რომ გადმოდგებოდა, მერე რა დახვეწილი საუბარი ჰქონდა, ტყუილების გუდას ისე მოხსნიდა, თვალს არ დაახამხამებდა, ფართო და უნაოჭო შუბლზე ძარღვი არ შეუტოკდებოდა. გარეთ ქვეყანა იქცეოდა, ის კი მიშა პრეზიდენტ-ბელადის სიდიადით გვატკბობდა.

ისე კი ძალიან შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, როდესაც ამ საპარლამენტო არჩევნებში ეს ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი, გამორჩეული და მაღალი თანამდებობის მქონე კაცი, თავის რაიონში, იკარგება, მაგრამ არაპოლიტიკურმა ჟურნალისტმა თავისსავე მშობლიურ ქალაქში ისე დადო ბეჭებზე, არ მეგონა, თუ კიდევ დადგებოდა ფეხზე. თუმცა ნაცებისგან ყველაფერს უნდა მოელოდე.

არადა, უწიკლაურად როგორ გინდა, ტელევიზორს უყურო! კაი მამის შვილი (მამა მართლაც კარგი ჰყავს, ბატონ მამუკასთან წლების მანძილზე ვმეგობრობდი, მის პოეზიას ახლაც თაყვანს ვცემ) კია, მაგრამ, ნეტარი აკაკისა არ იყოს, „თუ ბუნებამც არ უშველა“... არადა, მთების შვილს, წიკლაურიანთ გვარისას, ადამიანური ღირსება, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა თუ ასე დაეკარგებოდა, როგორ წარმოვიდგენდი. და მაინც, ჩემს ცისფერ ეკრანს ძაან მოაკლდა და რა ვქნა.

იხ. 7 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მაინც რა მოხდა ლოპოტის ხეობაში?

ლოპოტას სპეცოპერაციის ირგვლივ კვლავ ბევრი კითხვაა, ყოფილი ხელისუფლება დუმს, ჩეჩენი მებრძოლი კი, რომელიც ამ ისტორიის მონაწილეა, ქართულ მედიას წერილს აწვდის, სადაც დაწვრილებით ყვება, რა და როგორ მოხდა. წერილის მიხედვით, ამ ყველაფერში ბაჩო და დათა ახალაიები და ქართველი მაღალჩინოსანი სამართალდამცველები, გია ლორთქიფანიძე და სანდრო ამირიძე მონაწილეობდნენ.

„ჩვენ მოგიყვებით როგორ გაგვყიდა თავდაცვის ქართველმა მინისტრმა ბაჩო ახალაიამ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გია ლორთქიფანიძემ და კონტრტერორისტული განყოფილების უფროსმა სანდრო ამირიძემ. ჩვენ ავსტრიაში დაგვირეკა მუსლიმმა, მეტსახელად გუსლიკამ და გვითხრა, რომ ჩეჩნეთში ჯიხადში მონაწილეობის მსურველებს, თავდაცვის ქართული სამინისტრო კორიდორს უხსნის. ასეთი კარგი ამბის მოსმენის შემდეგ ჩვენ საქართველოში წასვლა გადავწყვიტეთ. მარტის დასაწყისში პირველი ხუთი ადამიანი ჩამოვფრინდით და აეროპორტში სამხედროები დაგვხვდნენ, შემდეგ წაგვიყვანეს ბინაში. ჩეჩნებმა მთელი ევროპიდან ჩუმად დაიწყეს ჩამოსვლა. სამხედროებმა თავდაცვის სამინისტროდან დაიწყეს ჩვენი ტარება ექსკურსიაზე. სამხედრო ობიექტებზე ნიღბებით მივყავდით, რომ ჩვენს შესახებ რაიმე სმა არ გავრცელებულიყო. თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია თითქმის ყოველდღიურად გვხვდებოდა“, — ნათქვამია წერილში.

ჩეჩენი მებრძოლის წერილის და პანკისელი ქისტების მონათხრობის გარდა კიდევ ერთი მტკიცებულება სპეცოპერაციის დროს დაღუპულ ქისტ ახალგაზრდაზე ასლან მარგოშვილზე ამ ზაფხულს, შს სამინისტროს მიერ გაცემული იარაღის ტარების ნებართვაა. სხვა მტკიცებულებებიც ალბათ, გამოძიების დაწყების შემდეგ გამოიკვეთება. არსებობს თუ არა საფრთხე, რომ საქართველო საერთაშორისო სკანდალში გახვეული აღმოჩნდეს, ამის შესახებ კავკასიის კონფედერაციის თბილისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს ზაალ კასრელიშვილს ვესაუბრეთ.

მოღალატე პარტნიორები

— ბატონო ზაალ, როგორ შეიძლება შეფასდეს ის ინფორმაცია, რაც სტუდია GNS-მა გაავრცელა, ის, რასაც ჩეჩენი მებრძოლი ყვება, საერთაშორისო დონის სკანდალს ჰგავს...

— საერთაშორისო სკანდალს კი არ ჰგავს, ეს საერთაშორისო დონის დანაშაულია. რაც შეეხება ნანა ლეჟავას, ის იმ გზით წავიდა, რა შეფასებებიც ჩვენ გავაკეთეთ პირველივე დღეს ლაფანყურის სპეცოპერაციაზე. უბრალოდ, ჩვენ სახელებს და გვარებს არ ვასახელებთ არც დღეს. იმიტომ, რომ მარტო ახალაიები არ არიან. ახალაიები ამ შემთხვევაში იყვნენ შემსრულებლები იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ახალაიებს არც თავისი მასშტაბების, არც თავისი კავშირების და არც თავისი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ფიზიკურად არ შეეძლოთ მებრძოლებზე გასვლა, მათთან დაკონტაქტება. ისინი მათ არ ენდობოდნენ და არც იცნობდნენ.

საქართველოში ნაცმოძრაობის რიგებში არის ორი მაღალჩინოსანი, რომლებმაც იდეოლოგიური მამობა გაუწიეს ამ საქმეს — მოკლედ, ამ ორმა ადამიანმა დააფინანსა და დააკავშირა ესენი მებრძოლებს. მათი გადმობირება, ჩამოყვანა და მათთან გარიგება მოხდა. შემდეგ რაღაც ეტაპზე აღარ დასჭირდათ ეს მოწმეები და მოიშორეს.

— რომელ მაღალჩინოსნებს გულისხმობთ, ისინი საპაკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები არიან? უწყება მაინც თუ შეგიძლიათ გვითხრათ?

— ჩვენ ვიცით ესეც, ისიც, მაგრამ არ ვასახელებთ ერთი მარტივი მიზეზის გამო. მაშინაც ვლაპარაკობდით ფაქტებით, მაგრამ არ ვასახელებდით სახელებს, რადგან გვინდოდა, ეს გაეკეთებინა დაზარალებულ მხარეს.

მათ შემსრულებლების გვარები დაასახელეს. ჩვენ ვიცით, რომ მათ იციან ორგანიზატორების სახელებიც. რომ არ თქვან, თავიანთი აზრი მოგვახვიეს თავზეო, თავს შევიკავებთ იმ იმედით, რომ ძალიან მალე დაასახელებენ ჩეჩნები (და არა მარტო ისინი, მთელმა ჩრდილო კავკასიამ იცის), იმ ორ ადამიანს. ეს ბრალის წაყენებას ჰგავს და, ალბათ, მალე გამოძიებაც დაიწყება, ჩვენ ამ ყველაფერს თვალყურს მივადევნებთ.

ცოცხლები არიან, ორივე საქართველოშია და ორივე მაღალჩინოსანია. ისინი არიან მათი გადაადგილებების, შეხვედრების დამფინანსებლები.

— თუ გილაპარაკიათ ჩრდილოკავკასიელებთან, უშუალოდ ჩეჩნებთან ამ საკითხზე, როდის აპირებენ ახალი გვარების დასახელებას?

— ისინი რამდენჯერმე დაგვიკავშირდნენ და გვთხოვეს, საგამოძიებო პროცესებში მონაწილეობა მიგვეღო — თანამშრომლობა გვთხოვეს, ამაზე უარი ვუთხარით, მაგრამ მხარდაჭერა აღვუთქვით საქმის ობიექტური გამოძიებისა და სამართლიანად გადაწყვეტის საკითხში. ამ პროცესებს ვადევნებთ თვალს და მივადევნებთ კიდეც იქამდე, ვიდრე სიმართლე არ გაირკვევა. ამ შემთხვევაში ჩვენი ახირება და აკვიატება კი არ არის — შურისძიების ალტერნატივა ამ შემთხვევაში სამართლიანი განაჩენია.

— რელიგიიდან გამომდინარე, მათ აქვთ შურისძიების საკუთარი წესი...

— მარტო მათ არა, ყველა ვაუკაცს აქვს ასეთი წესი, ამას ემატება რელიგიური ნიშნით სოლიდარობა და თუ ისინი ვერ ნახავენ სამართლიან გადაწყვეტილებას, დასჯიან დამნაშავეებს — ჩვენთვის დამნაშავეებს, თორემ მათთვის ესენი მოღალატე პარტნიორები არიან.

მოღალატის მიმართ განსაკუთრებული განაჩენი არსებობს. განაჩენები გამოტანილი აქვთ-მეთქი, ადრეც ვთქვი. უბრალოდ, ჩვენ რამდენიმე დღე კამათი და დავა დაგვჭირდა ჩრდილო კავკასიელებთან. სხვათა შორის, ისინი გვითანაგრძნობენ და ჩვენს აზრზე დგანან, რომ ხალხი და ქვეყანა არაფერ შუაში არ იყო და თუ კონკრეტულად ვინმე აინტერესებთ, მას გასცენ პასუხი — ბოლოს ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ. ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი დავრჩით, რადგან ქვეყანას და ხალხს საფრთხე ავარიდეთ.

ვერაფრით ვერ ვიქნები ახალაიების ადვოკატი, არ ვაპირებ ჩემი ავტორიტეტის დახურდავებას მაგ ბიჭების სახის ჩამოსარეცხად.

— ჩეჩენი მებრძოლის წერილში ლაპარაკი იყო დაახლოებით 100-კაციან ჯგუფზე. დაახლოებით 60 ადამიანი ჩამოიყვანეს უცხოეთიდან და დანარჩენები, ვინც შემოგვიერთდნენ, პანკისელი ქისტები იყვნენო. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ თითქოს დერეფნის გახსნას დაპირდნენ და შესთავაზეს ყველას ერთად გაყვანა, მაგრამ მებრძოლებმა ხელისუფლების შეთავაზება არ გაითვალისწინეს და 20-კაციან ჯგუფებად დაიყვნენ. არაფერია ცნობილი სხვა ჯგუფებზე, ხომ არ აქვთ ინფორმაცია დანარჩენებს რა ბედი ეწიათ?

— ეს ყველაფერი საკმაოდ მარტივადაა. ამათ ამ ადამიანებთან ურთიერთობა წლების მანძილზე ჰქონდათ. რაში იყენებდნენ, როგორ, რა ფორმით - ჩვენ არ ვიცით. მერე ამათ შორის კონფლიქტი მოხდა. სავარაუდოდ, იმაზე, რომ შეთავაზებას არ დათანხმდნენ, ან ფულზე. კონფლიქტის შემდეგ მათ წასვლა გადაწყვიტეს. ესენი მიხვდნენ, რომ ამათი გაჩერების არც ძალა ეყოფოდათ და არც არგუმენტი ექნებოდათ, ამიტომ დაუკავშირდნენ რუსებს, და მათგან ნებართვის მიღების შემდეგ ესენი ფიზიკურად გაანადგურეს. საქართველოს მოსახლეობას აჩვენეს, რომ მათ უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, ხოლო დასავლეთს თავი შესთავაზა სააკაშვილმა, როგორც ტერორიზმთან მებრძოლმა ერთადერთმა ძალამ.

— ის, რომ რუსეთთან მოილაპარაკეს, ეჭვებია თუ დადასტურებული ფაქტი?

— ესეც დადასტურდება მალე. რუსები საქმის კურსში იყვნენ, სპეცოპერაცია რომ ტარდებოდა. იმ პერიოდში ევროპულმა მედიამ რუსებს ჰკითხა, რა ხდებოდა. რუსებმა უპასუხეს — ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ისინი თავის ბოევიკებს ხოცავენო.

— ორი ვერსია გამოითქვა, თუ რისთვის სჭირდებოდა ამ ხელისუფლებას ჩეჩენი მებრძოლები. ერთი, რომ მათ ბიძინა ივანიშვილის მკვლელობა დაუკვეთეს, ხოლო მეორე, საკუთარი ძლევამოსილების ხაზგასმა სურდათ წინასაარჩევნოდ. თქვენი აზრით, რომელი მათგანი შეიძლება იყოს სიმართლესთან ახლოს?

— ამათგან ყველაფერი მოსალოდნელია და ორივე ვერსია სიმართლესთან ახლოს შეიძლება იყოს.

— თუ გაქვთ ინფორმაცია, რომ არსებობს ისეთი ფაქტები, რაც ამ ხელისუფლების და ჩეჩენი მებრძოლების თანამშრომლობას დაამტკიცებდა?

— როგორ არ არსებობს, რამდენიმე წელია, აგვისტოს ომის შემდეგ ეს ხელისუფლება თანამშრომლობს ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებთან, თუმცა, რა ფორმით და შინაარსით — არ ვიცი, მაგრამ ასეა.

— გამოდის, რომ ამის შესახებ ინფორმაცია ჟონავდა...

— ინფორმაცია კი არ ჟონავდა, ზუსტი ინფორმაცია გვქონდა. ყველაზე, ვინც მათთან თანამშრომლობდა, ბოლოს ჩვენთან მოდიოდა ინფორმაცია. ამათ რომ ეგონათ, არ ვიცოდით, ასე არ იყო. და ისინი, ვისთანაც ამ ხელისუფლებას კავშირი ჰქონდა, მარტო ჩეჩნები არ იყვნენ, ჩრდილო კავკასიის სხვა წარმომადგენლებიც.

— თუ შეგიძლიათ, მინიშნებით მაინც, ერთი ოპერაცია დაგვისახელოთ, რომელიც მათ ერთობლივად ჩაატარეს...

— ამას მინიშნებითაც ვერ გეტყვით. ხვალ სასამართლოში რომ დამიბარონ, ამათ რა აქვთ ნაკეთები, ამის შესახებ ბრალი ჩემი განცხადების საფუძველზე წაუყენონ, სწორი არ იქნებოდა. ეს ჩემს კომპეტენციას სცილდება.

— თუ გაქვთ ინფორმაცია, რა ეტაპზეა ჩეჩნების მიერ დაწყებული გამოძიება?

— მიმდინარეობს გამოძიება. მათ არჩევნებამდე იცოდნენ, რაც მოხდა. შეგნებულად მოიქცნენ და ხელი არ შეგვიშალეს. ისინი შიდა პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვას ელოდებოდნენ და ამიტომ მოერიდნენ, ჩვენ არ დაგვბრალდესო. სახელებიც იციან, გვარებიც, მისამართებიც, დღეებიც და საათებიც. რა დანიშნულებით და მისიით ჩამოიყვანეს და რა გეგმები ჰქონდათ ამ ბოევიკებთან დაკავშირებით. ესეც იციან და ისიც, ადრე რა ჰქონდა ნაკეთები ხელისუფლებას ბოევიკებთან ერთად.

— ამ ყველაფერს სად და როდის იტყვიან?

— ოფიციალურ განცხადებას ისინი არ გააკეთებენ. ახლა ელოდებიან, საქართველოს ხელისუფლება დაიწყებს ამ საქმის ძიებას თუ არა. თუ საქართველოს ხელისუფლება გამოძიებას არ დაიწყებს და დამნაშავეებს სამართლიანად არ დასჯის, მაშინ დაზარალებულ, ჩეჩნეთის მხარეს, სრული უფლება რჩება იმისათვის, რომ თვითონ გამოუტანონ განაჩენი დამნაშავეებს.

ანგარიშსწორება აუცილებლად იქნება, მაგრამ შეეცდებიან, ამას ბრმა შურისძიების სახე კი არ მისცენ, არამედ სამართლის აღსრულების სახე. ალბათ, დადებენ ინფორმაციას რომელიმე კავკასიურ საიტზე და გამოჩნდება მთელი ის თაღლითური სცენა და მაქინაცია, რაც ჩაატარა სააკაშვილის ხელისუფლებამ.

— გამოდის, რომ საქართველოს დიდი შანსი აქვს საერთაშორისო სკანდალში გაეხვეს...

— ქვეყანა საერთაშორისო სკანდალს იმ შემთხვევაში აიცილებს თავიდან, თუ დამნაშავეებს გაასამართლებს და საზოგადოებას ჩამოაშორებს.

ლალი ზირაძიშვილი

◎ ინფორმაცია

ყვითელი ავტობუსების მძღოლები მუშაობას ხვალიდან განაახლებენ

5-დღიანი გაფიცვის შეწყვეტის გადაწყვეტილება მათ გლდანის მაჟორიტარ დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანთან გამართული მოლაპარაკებების შეხვედრის შემდეგ მიიღეს.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ჯაჭვლიანი მძღოლებს დაპირდა, რომ მათთან დაკავშირებულ საკითხებს დეტალურად შეისწავლის სახელმწიფო კომისია, რომელსაც უშუალოდ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობს.

ჯაჭვლიანმა მძღოლებს სრული თანადგომა გამოუცხადა და დაპირდა, რომ ყველა კანონიერი მოთხოვნა, პრეტენზია შესაბამისად განხილული და გადაწყვეტილი იქნება.

გაფიცვის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიღებულია დაახლოებით ერთსაათიანი შეხვედრის შემდეგ, რომელსაც სამი სამგზავრო ავტოპარკის წარმომადგენელი მძღოლები ესწრებოდნენ, ასევე შეხვედრაში მონაწილეობდნენ პროფკავშირების წარმომადგენლები და მაჟორიტარი დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი.

როგორც შეხვედრის შემდეგ მძღოლები აღნიშნავდნენ, გამოვიდნენ მოქალაქეების ინტერესებიდან და ამ ეტაპზე მათი საკითხის შესწავლის იმედით მუშაობას განაახლებენ.

ამასთან, ძალაში რჩება მძღოლების მოთხოვნა სატრანსპორტო კომპანიის გენერალური დირექტორის ლევან კოპლატაძისა და თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელის აკაკი ჯოხაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ყვითელი ავტობუსების მძღოლები ნ დღის განმავლობაში იყვნენ გაფიცული და მათი გაფიცვის მთავარი მიზეზი ანაზღაურებითი უკმაყოფილება და ხელმძღვანელობის მხრიდან არასათანადო დამოკიდებულება იყო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მიღება

ადვოკატის დღეს იურიდიული ბიბლიოთეკა გაიხსნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, ადვოკატის დღესთან დაკავშირებით, მედიისთვის და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიღება გამართა, გაწეული საქმიანობის ანგარიშთან ერთად ჟურნალისტებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მომავალი პრიორიტეტები გააცნო.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2012 წლის ძირითადი ნაწილი უკავია ადვოკატის უფლებების დაცვის კომისიის, სისხლის სამართლის კომიტეტის, სასწავლო ცენტრის, განგრძობადი იურიდიული განათლების და ეთიკის კომისიების მიერ გატარებულ რეფორმებს. საქართველოში პირველად, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრის ზვიად კორძაძის უშუალო ძალისხმევით, დაინერგა განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სავალდებულო წესით ადვოკატთა კორპუსის გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. სასწავლო ცენტრი ორგანიზებას უწევს ტრენინგებს პროფესიული ეთიკის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების და გასაჩივრების მექანიზმების, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის საკითხებში. უკვე გადამზადებულია 3000 ადვოკატი.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის ინიციატივით შეიქმნა ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისია, რომლის წარმოებაშიც, ადვოკატთა უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, ორასზე მეტი განცხადებაა. აქედან ასჩვიდმეტი ადვოკატი ისდის სასჯელს. ადვოკატთა ინსტიტუციონალური უფლებების დარღვევის და დევნის ფაქტების გამო მკაცრი რეკომენდაციები და წერილები მომზადდა საფრანგეთის საერთაშირისო ობსერვატორიის, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის, ევროპის ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის მიერ.

სისხლის სამართლის კომიტეტის და მისი თავმჯდომარის იოსებ ბარათაშვილის დამსახურებით, შესაძლებელი გახდა მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება, რომელიც საქართველოს პარლამენტს წარედგინა განსახილველად.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ეკატერინე გასიტაშვილის და კომისიის წევრთა მონაწილეობით, ადვოკატთა ასოციაციაში შემუშავდა ეთიკის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომელსაც ნოემბრის ბოლოს განიხილავს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება;

ეთიკის კომისიამ მოამზადა პროექტი „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებაში დამატების შეტანის შესახებ იმ მიზნით, რომ ეთიკის კომისიას მიეცეს უფლებამოსილება ადვოკატებისთვის გასცეს რეკომენდაციები. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე რეკომენდაციების გაცემა, ხელს შეუწყობს ადვოკატთა მიერ პროფესიული სტანდარტების დაცვას და დაეხმარება მათ ეთიკის კოდექსის ნორმათა დაცვაში პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას.

ქართულ ენაზე ითარგმნება წიგნი პროფესიული ეთიკის საკითხებზე; ეს არის შედარებითი კვლევა და ხელს შეუწყობს პროფესიულ სტანდარტებზე ადვოკატთათვის საერთაშორისო გამოცდლების ხელმისაწვდომობას.

ივლისიდან ქვეყნდება იმ ადვოკატთა ვინაობა, რომელთაც საქმიანობის უფლებამოსილება შეუჩერდათ განსაზღვრული ვადით, 1 დეკემბრიდან გამოქვეყნდება ყველა ადვოკატის ვინაობა, რომელთაც დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილება განესაზღვრათ;

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიშვილის თქმით, 3 წლის განმავლობაში აღმასრულებელი საბჭო ძალზე რთულ ვითარებაში იყო საქართველოს ადვოკატების კონსტიტუციონალური დევნის გამო. **„სააკაშვილმა ბოლო 7 წლის განმავლობაში 147 ადვოკატი გაასამართლა. ეს მასშტაბი მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს. მხოლოდ ერთს გეტყვით — გასამართლებულ ადვოკატთა რაოდენობა ორჯერ მეტია, 73 წლის მანძილზე საბჭოთა რეჟიმის მიერ გასამართლებულებზე. ამ პირობებში ადვოკატთა ასოციაციამ შევძელით განვითარება, წინსვლა. ადვოკატთა ასოციაცია ახალ შენობაში გადმოვიდა. გვაქვს სასწავლო ცენტრი, სადაც ყოველდღე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს.**

დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ადვოკატთა ასოციაცია, აღმასრულებელი საბჭო ვხსნით ასოციაციის ბიბლიოთეკას, რომელსაც ზვიად კორძაძის ინიციატივით ყველაზე ცნობილი ადვოკატის — ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელი ეწოდა. ხოლო ადვოკატთა დღის დაწესება იოსებ ბარათაშვილის ინიციატივაა.

მან მოიძია ძალზე ბევრი მასალა ილია ჭავჭავაძის, როგორც ადვოკატის შესახებ. ამიტომ ადვოკატის დღედ დაწესდა 8 ნოემბერი — ცნობილი იურისტის, ერის მამად წოდებული და მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე. ადვოკატები პროფესიულ დღეს 2010 წლიდან ზეიმობენ.

ადვოკატთა ასოციაციაში მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება მზადდება, რათა ამ ქვეყანას ადვოკატთა კორპუსმა ვაჩუქოთ სამართლიანი სასამართლო. დღევანდელი დღე უნდა იყოს იმის დასაბამი, რომ ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნა დამთავრდეს და ადვოკატების ისტორიაში ახალი, დიდი ერა დაიწყოს,“ — აღნიშნა ზაზა ხატიაშვილმა.

საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის ხელმძღვანელმა ვალტერ ვანგბურგმა იურიდიული ბიბლიოთეკა გახსნა. მისი თქმით, მისიამ დააფინანსა ბიბლიოთეკის აღჭურვა და რემონტი. **„მოხარული ვარ, რომ ვხედავ ამ პროექტის დადებით შედეგს. იმედია, ამ ბიბლიოთეკას შედეგად მოჰყვება ცოდნის გაღრმავება ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, “** — დასძინა ვანგბურგმა.

თამარ შაიშმელაშვილი

ავტორის ფოტო

◎ გულის ამონაკვნესი

ჩიორა მომნატრებია, ხალხო!

(მეხუთე გვერდიდან)

და განა მარტო ის, აი თუნდაც „ახლად ამობრწყინებული ვარსკვლავი“ მინაშვილი, ეს სათვალიანი გოჭი თუ ბურვაკი (მგონი ბატონმა რეზომ მასაც მოუძებნა შესარგი სახელი). მაგრამ არ მახსენდება, ასე თავდაჯერებით, ასე წარბშეუხრელად რომ გვაფრქვევს ტყუილებს, ისეთი ბრძნული გამომეტყველებით გვამუნათებს ხოლმე, ოცდამეერთე საუკუნის ციცერონი გეგონება, ღმერთო, დიდებულო, მაინც სად იჩეკებიან ასეთები, ეგეთი რა ინკუბატორი აქვს მიშა პრეზიდენტად წოდებულს, ასე ინკუბატორში გამოჩეკილებივით რომ ჰგვანან ერთმანეთს, თუნდაც მუშტიკრივში გამოცდილი ცისკარიშვილი, ერთხელაც პანკისში გატაცებული და იქ ჯაჭვით დაბმული. ანდა უცვლელი პარლამენტარი მიშა მაჭავარიანი, ეგ ხომ მატყუარა რობოტია, მაგრა დაპროგრამებული, არადა, რა მედგრად უმკლავდებოდა შემოსეულ ჟურნალისტებს, ის კი არა, შეტევაზედაც გადადიოდა. ასევე მარად მწვანე, მოქკავშირელ-ნაციონალი გიგი წერეთლის შელევაც, ძნელზე ძნელი იქნება. გოგორიშვლი ხომ... ღმერთო ჩემო, ეს რა დროს მოვესწარი.

თუმცა, ასე თუ ისე, ამათ მაინც შეელევა კაცი, მაგრამ მიშა, ეს ჩვენი „ლეგენდარული“ მამა და მარჩენალი...

უნებლიედ ბრეჟნევის დრო მაგონდება. ჩართავდი ტელევიზორს, ნებისმიერ არხზე ბრეჟნევი იყო გაჩხერილი, მისი ბრძნული ბლუკუნი ხომ ერთ რამედ ღირდა და უცებ ჩაყვინა ამ ბელადმაც. მერე დიდი დრო დასჭირდა ცისფერი ეკრანის ამოვსებას, კომუნისტმა ბელადებმა იმდენი იწვალეს, რომ ხან ერთი გაჩხირეს, ხან მეორე და, როგორც იყო, ნოსტალგია გავიქარვეთ, მაგრამ ახლა...

არადა, ვინ ააშენებს ლაზიკა საოცრებას! ისე ღმერთმა არა ქნა, გადამფრენ ფრინველთათვის ეს ჭაობ-სულის მოსათქმელი რომ არ შეენარჩუნებინა, თორემ მსოფლიო კატასტროფასთან გვქონდა საქმეო, ამას მწვანეები ამბობენ... აწი ვინ გააშენებს ბათუმს, სვანეთს, სამეგრელოს, კახეთს, და, საერთოდ, საქართველოს, ვინ აქცევს მეორე სინგაპურად, მსოფლიოს საოცრებად, დემოკრატიის აკვნად... ეჰ, მიშავ, მიშავ, ეს რა გვიქენი, უფრო სწორად, როგორ ჩაუმწარე არჩევნები შენს ნაცლეკვებს გუბერნატორებს, მერებს, რას ერჩოდი ორას თუ ხუთას ლარად ღირებულ კოორდინატორებს, ასე უსასოოდ რატომ დატოვე და დააობლე!..

მაგრამ მე ისევ ჩემს თავს ვჩივი, აწი ასე, ყოველ ცისმარე დილა თუ საღამო რომ ვერ გიხილავ ცისფერ ეკრანზე! მე, ერთხელ ბრეჟნევგადატანილმა, ახლა უშენობა როგორ უნდა მოვინელო,! კი მაიმედებ, ისევ მაბოლებ — ნაცებს ახალი სისხლი გადავუსხი, აგერ მერაბიშვილი ვუწინამძღვრე, ჩემი ძლევამოსილი სარდლობით (შენი სარდლობისას კარგად გვახსოვს, რა მამაცურად ხნავდი ცხვირით გორის მიწას!) კვლავ მოვიკრებთ ძალას, ისევ დაგიბრუნდებითო, მაგრამ... მაგრამ ახლა შენი არავის რომ არ სჯერა? და იცი, რატომ? ეს არჩევნები ისე გააყალბე, როგორც არც ერთი წინა, მაგრამ ხალხს ვეღარ აჯობე და...

არადა, პირადად მე ძალიან გამიჭირდება, მაგრამ ის მანუგეშებს, რომ ქართველმა ერმა და მთლიანად საქართველომ გაისიგრძეგანა ის უბედურება, ის საშინელება და განსაცდელი, რაც შენ და შენმა გაუმაძღარმა ხროვამ მგლებისამ თავს დაგვატახეთ, რომ ამიერიდან მსგავსი კატასტროფა არ დაემუქრება ჩემს სამშობლოს. ძნელი დასავიწყებელია კია ის კოშმარი, ერი ლამის გადაგვარდა, დემოგრაფიული კატასტროფა ფაქტია, მაგრამ ღმერთმა ამჯერადაც დაგვიფარა, გადაგვარჩინა, გვიხსნა და, როგორც უნეტარესი ილია მეორე ბრძანებს, ამიერიდან საქართველო ჭეშმარიტად აყვავდება.

...ისე, რა დაგიმალოთ და, ის ჩიტუნია ჩიორა უკვე მომენატრა!

გივი ჯახუა

◎ ინფორმაცია

მოსწავლეებს სკოლიდან აღარ გარიცხავენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, სკოლებიდან მოსწავლეების გარიცხვა არ უნდა მოხდეს.

როგორც გუშინდელ ბრიფინგზე განათლების მინისტრმა და ზოგადსაგანმანათლებლო საკითხებში მინისტრის მოადგილე ალუდა გოგლიჩიძემ განმარტეს, არსებული კანონმდებლობის თანახმად, მოსწავლის გარიცხვა შეიძლება პირველიდან მეცხრე კლასამდე. განათლების მინისტრი გამოდის ინიციატივით, რომ აღნიშნული კანონმდებლობა შეიცვალოს და მოსწავლე სკოლიდან საერთოდ არ გაირიცხოს.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა და ალუდა გოგლიჩიძემ განაცხადეს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებში უნდა შეიქმნას გარკვეული ჯგუფები და ინსტიტუციები, რომლებიც ე.წ. ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეებზე იმუშავებენ, პარალელურად კი მოსწავლეები აღარ მოწყდებიან სასწავლო პროცესს.

როგორც განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, აღნიშნულ თემაზე თუ იმუშავებენ პედაგოგები, მშობლები და ჟურნალისტები, ორი კვირის განმავლობაში სამინისტროში უნდა წარმოადგინონ თავიანთი შესედულებები წერილობითი სახით. როგორც მინისტრმა ბრძანა, საერთო აზრის ფორმირების შემდეგ, სავარაუდოდ, კანონმდებლობაშიც შევა ცვლილება და უკვე ახალი კანონმდებლობის საფუძველზე, მოსწავლე აღარ გაირიცხება სკოლიდან და სწავლის პარალელურად, მათთან იმუშავებენ ფსიქოლოგები, ან იმ პროფესიის წარმომადგენლები, რა კუთხითაც მოსწავლეს დახმარება დასჭირდება.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

გაღიზიანებული პოლიტიკოსები საქართველოში

პოლიტიკური კლიმატი საქართველოში ცხელდება. საპარლამენტო არჩევნებიდან და ბიძინა ივანიშვილის ქვეყნის ახალ პრემიერ-მინისტრად დამტკიცებიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ, ახალ მთავრობას მიხეილ სააკაშვილის ნდობით აღჭურვილი პირების წინააღმდეგ პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებენ. კრიტიკის საფუძველია თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას, გენერალური შტაბის უფროსის გიორგი კალანდაძისა და კიდევ ერთი მაღალჩინოსანი სამხედროს დაკავება. პროკურატურა მათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში სდებს ბრალს. მათ 2011 წელს 6 ჯარისკაცს სცემეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა.

პროტესტი პარლამენტში

პრეზიდენტ სააკაშვილსა და მისი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს მოვლენებზე მწვავე რეაქცია ჰქონდათ. მთავრობის ყოფილ მეთაურ ვანო მერაბიშვილს ამან „კაგებეს მეთოდები გაახსენა“. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია „პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე“ საუბრობს. რომ ახალაიას წინააღმდეგ ბრალდებები აბსურდული და უსამართლოა. ეს დემოკრატიას ძლიერ დარტყმას და საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს, იმიჯს ძლიერ ზიანს მიაყენებს. ბოკერია დაკავებულების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს. „რეპრესიის აქტის“ მიმართ პროტესტის ნიშნად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებმა ოთხშაბათს სხდომა დატოვეს. ხუთშაბათს თბილისში მიმდინარე საგადასახადო კონტროლმა საზოგადოებრივ მაუწყებელში. ოპოზიცია შიშობს, რომ ტელევიზია დაიხურება და ივანიშვილის მეუღლის კერძო არხს შეუერთდება. მთავრობის მეთაურმა ბრალდებები უარყო. მისი თქმით, არც ამ და არც ახალაიას შემთხვევაში, პოლიტიკურ მანევრებს ადგილი არ აქვს. საგამოძიებო უწყებებმა განაცხადეს, რომ მსჯავრდებულების დანაშაული მოწმეთა ჩვენებების საფუძველზეა გამყარებული. პროკურატურამ ხუთშაბათს ითქვა, რომ ოპოზიცია პარლამენტის ბოიკოტირებას არ აპირებს, თუმცა, სამთავრობო კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა მოვლენების განვითარებაზე იქნება დამოკიდებული.

ხელისუფლების ახალ ბლოკებს შორის დაძაბულობას ცეცხლი დაუმატა ახლახან სამ დაკავებულს ოფიციალურად წაუყენა ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. გარდა ამისა, ახალაიას ბრალად ედება ასევე უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა. 32 წლის იურისტი უკიდურესად წინააღმდეგობრივი ფიგურაა. ის პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთ ყველაზე ნდობით აღჭურვილ პირად მიიჩნევა. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ჯერ კიდევ 2006 წელს აკრიტიკებდნენ მისი მკაცრი ხელის პოლიტიკას. ციხის ბუნტის დროს, როდესაც მრავალი პატიმარი დაიღუპა, ის სასჯელაღსრულების მინისტრი იყო. 2009-2012 წლებში კი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობდა.

პოლიტიკის ბესტი

მიმდინარე წლის ივლისში ახალაია შინაგან საქმეთა მინისტრად დასახელდა, თუმცა ისევ ციხეებში კრიტიკული ვითარების გამო წაბორძიკდა. საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ამოტივტივდა ვიდეომასალა, რომელზეც უნიფორმაში ჩაცმული ადამიანები პატიმრების წამებისას იყვნენ გადაღებული. ახალაიას გადადგომა მოუწია. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ ბრალდების დეტალები ჯერ გაურკვეველი რჩება. ერთი რამ ცხადია, ხელისუფლების დემოკრატიული ცვლილების შემდეგ სახელმწიფო ინსტიტუციები და პოლიტიკური აქტიორები საქართველოში ისევ გამოცდის წინაშე დგანან.

Neue Zürcher Zeitung

ქალაქი, რომელიც წარსულსა და მომავალს აერთიანებს

ჩვენ მივემგზავრებით ბათუმში. საქართველოს საზღვართან განთავსებული ქალაქის ადმინისტრაციაში მივიღეთ შესაბამისი ნებართვა და გადავდგით ნაბიჯი საქართველოში. საზღვარზე ვხედავთ სამარშრუტო ტაქსების ქართველ მძღოლებს, რომელთა სწრაფი მოგზაურობის შესახებ დიდება, როდესაც ყურადღებას არც აქცევენ გზების ხარისხს, სტამბოლამდე მოვიდა. გვერდით მიმავალ ტურისტებს ისინი სთავაზობენ მოგზაურობას თავიანთი მანქანებით სარფიდან თბილისამდე, რაც 450 კილომეტრს შეადგენს. ასევე სამარშრუტო ან ჩვეულებრივი ტაქსით შეიძლება მოხვდე ბათუმშიც. გზად ბევრ ადგილას არის პუნქტი, სადაც შეიძლება თურქული ლირები ქართულ ლარებზე გაცვალო.

დაახლოებით 15 წუთის შემდეგ ჩვენ უკვე ბათუმში ვართ. ეს არის უდიდესი ნავსადგური და სიდიდით მესამე ქალაქი საქართველოში. ბათუმი არის ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი. ქალაქის მოსახლეობა დაახლოებით 150 ათასია. ვარაუდობენ, რომ ქალაქი ჩამოყალიბდა, როგორც ბერძნული კოლონია სახელწოდებით ბატისი, პონტოს და რომის ბატონობის შემდეგ ის მიეკუთვნა საქართველოს სამეფოს, მონღოლების ხანმოკლე მფარველობის შემდეგ კი შეუერთდა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიას და გახდა ოსმალური სანჯაკის ლაზისტანის ცენტრი. იგი სამი საუკუნის განმავლობაში იყო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად ბათუმი ყარსთან ერთად გადავიდა რუსეთის შემადგენლობაში, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაუბრუნდა ოსმალეთის იმპერიას.1921 წლიდან ბათუმი შეუერთდა საქართველოს.

* * *

უკანასკნელ წლებში ბათუმი ელვისებურად მიისწრაფვის კეთილი მომავლისკენ. აღნიშნავენ, რომ ქალაქი მთელი მსოფლიოს ინვესტიციების წყალობით რამდენიმე წლის განმავლობაში გახდება ყველაზე მიმზიდველი ქალაქი კავკასიაში. ქალაქის განახლებასთან, ესთეტიკასთან და თანამედროვე დიზაინთან ერთად შეიძლება აღმოაჩინო მისი განუმეორებელი ისტორიული ტექსტურა. ბაღებითა და ქანდაკებებით მორთული საზღვაო სანაპირო, რომელიც გადაჭიმულია მრავალ კილომეტრზე, ფაქტობრივად, გადაიქცა „პარკების აყვავებული მხარის“ ქალაქად. როდესაც ქალაქის ქუჩებში დავსეირნობდით, ჩვენ აღმოვჩნდით ევროპის მოედანზე. და აქ კვლავ შევნიშნავთ, რომ ბათუმი, რომელსაც წარმოვიდგენდით, როგორც მშვიდ სანავსადგურო პატარა ქალაქად, არსებითად ასეთი არ არის. მედეას ქანდაკება განთავსებულია მოედნის ცენტრში, რომელსაც გარს აკრავს უზარმაზარი შენობები, ისინიც ასევე შესრულებულია ევროპული არქიტექტურის სტილში. ირგვლივ ბევრი ტურისტი იღებს ფოტოსურათს, ქანდაკება თითქოს თავისი სიმაღლით ცას ებჯინება. როდესაც დავეხეტებით ქალაქის ქუჩებში, ჩვენს გზაზე ხშირად ჩნდება არქიტექტურული ძეგლები და პარკები... მოედანი სახელწოდებით „პიაცა“ ცნობილია, როგორც ქალაქის გასართობი ცენტრი. როდესაც დავინახეთ მოედანზე, რომ ემზადებოდნენ მორიგი საკონცერტო პროგრამისთვის, ჩვენ წუხილით ვტოვებდით უკვე ამ ადგილს. შევდივართ რესტორანში, რათა გავსინჯოთ ცნობილი ბათუმური „პიდე ყველითა და კვერცხით“ — ხაჭაპური. ხაჭაპურის შემდეგ ჩვენ მივსეირნობთ ქალაქის სანაპიროზე. აქ გვხვდება სიყვარულის ქანდაკება „ალი და ნინო“, ანბანის კოშკი, პოსეიდონის ქანდაკება და ხელოვნების მრავალი სხვა ნაწარმოები... ამ მომენტში ჩვენს ყურადღებას იპყრობს არქიტექტურული ნაგებობები, რომელთა მშენებლობაც ჯერ კიდევ გრძელდება. როდესაც დავინახეთ ნაგებობა, რომელიც, ჩვენი აზრით, შეესაბამება საათის კოშკს იზმირში, მალე გავიგეთ, რომ ის მართლაც შენდება იმ არქიტექტურის ნაწარმოების ანალოგიით, თურქეთის ქალაქში რომ არის.

ბათუმი — ქალაქია, რომელშიც ერთად ცხოვრობენ მრავალი ეთნიკური და რელიგიური გაერთიანებანი. მართალია, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ქართველები შეადგენენ, ქალაქის იდენტურობა ასევე ეწყობა სხვა მრავალი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების წყალობით, ისეთებისა, როგორებიც არიან სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ბერძნები. ეს კი ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ქალაქში იყოს მრავალი რელიგიის წმინდა ადგილები. სომხური გრიგორიანული ეკლესია, მეჩეთი „ორთა ჯამე“, კათოლიკური ეკლესია, წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, მრავალი მართლმადიდებლური ეკლესია.

ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა ქალაქ ბათუმისა, რომელიც აუცილებლად უნდა ნახო, არის ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრეობა — მეჩეთი „ორთა ჯამე“. უწინარეს ყოვლისა, ეს მეჩეთი ყურადღებას იპყრობს შენობის ფასადის დამახასიათებელი გაფორმებით. მეჩეთი აშენდა 1886 წელს და, მართალია, შემდგომ იგი განადგურდა, რესტავრაციის შემდეგ გაიხსნა რელიგიური წეს-ჩვეულებების შესასრულებლად.

მაგრამ დადგა ჩვენი ხანმოკლე ექსკურსიის დამთავრების და ბათუმთან დამშვიდობების დრო. ჩვენ ვტოვებთ ბათუმს, რომელიც ასე მომხიბლავად აერთიანებს წარსულსა და მომავალს. როდესაც საზღვარს მივაღწიეთ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო მანიშნებელმა „სარფი“. თურქეთის საზღვრის რამდენიმე მეტრით გადაკვეთის შემდეგ ჩვენ შევხვდით ნიშანს იმის შესახებ, რომ „სარფი“ დამთავრდა. ქართულ სარფში შესვლისა და საქართველო-თურქეთის საზღვრის გადაკვეთის შემდეგ, ჩვენ აღმოვჩნდით თურქულ სარფში. ვგებულობთ, რომ, როდესაც განისაზღვრა თურქეთ-რუსეთის საზღვარი, მან შუაზე გაყო სოფელი, რის შედეგადაც თურქეთის მხარის სოფელს ეწოდება „სარფ“, საქართველოს მხარემ კი შეინარჩუნა თავისი წინანდელი სახელწოდება „სარფი“.

ZAMAN ONLINE

დედამიწის ზურგზე

ბულგარეთში აღმოაჩინეს „ალექსანდრე მაკედონელის ოჯახის“ ოქროს განძი

მართალია, მეცნიერებს დიდი იმედი ჰქონდათ სარკოფაგის ამოთხრისა სვეშტარისთან, რომელიც იუნესკოს დაცვის ქვეშაა, მაგრამ ისინიც გაოცებული დარჩნენ აღმოჩენით. ხის ყუთში არქეოლოგებმა ნახეს ქსოვილი ოქროს ძაფებით, მასში კი — დამწვარი ძვლები და ოქროს სამკაულები, რომლებმაც შეიძლება შუქი მოჰფინონ ძველი მსოფლიოს ისტორიის ფურცლებს.

* * *

ვენეციას თავს დაატყდა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში უდიდესი წყალდიდობა — ზღვაში დაიფარა სან-მარკოს მოედანი

ტურისტული ქალაქის ორი მესამედი წყალქვეშ აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ზღვის დონემ 1,5 მეტრით აიწია. ვენეციის სახელგანთქმული ცენტრალური მოედანი 60 სანტიმეტრით აღმოჩნდა წყალქვეშ. უბედურებამ გამოიწვია მეწყერები, სახლების ნგრევა და მასობრივი ევაკუაცია მთელს იტალიაში. წყალდიდობის შედეგებს თავად ქვეყანა ვერ უმკლავდება და ევროკავშირს სთხოვს ფულს.

* * *

აღმოსავლური ინტრიგები: აშშ და უკრაინა შეეტაკნენ რუსეთს კონტრაქტისთვის, რომლის ღირებულებაც 4,2 მილიარდი დოლარია

წყაროები ამტკიცებენ, რომ შიშს ერაყთან გარიგების ჩაშლის შესახებ მართლაც აქვს საფუძვლები და მისი გაუქმების შესაძლებლობას განიხილავს ბაღდადი. ამავე დროს, ერაყის ყოფილი ელჩი რუსეთში აბას ხალაფ კუნფუდი ამტკიცებს, რომ არანაირი უარყოფა გარიგების გაუქმების შესახებ არ ყოფილა, კონტრაქტი კი მართლაც გაუქმდება.

* * *

კორუფციული სკანდალი სამხრეთ კორეაში: პირველი ლედის მიწის ნაკვეთის გამო დაკითხავენ წერილობითი ფორმით

ამას გარდა, როგორც ცნობილი გახდა, გამომძიებლებს განზრახული აქვთ, მოაწყონ ჩხრეკა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და გამოიძახონ დაკითხვაზე ლი მენ ბაკის დაცვის სამსახურის წარმომადგენლები. გამომძიებლებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ დამცველებმა დაიწყეს გამოძიებისთვის აუცილებელი დოკუმენტების განადგურება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ღვაწლი

ადამიანებისა და სიცოცხლის სიყვარული არ დაშრეტია...

ამ ოთახში ყაყაჩოს სუნთქვას შეიგრძნობ. თითქმის საუკუნეგავლილ ქალბატონს წლებსა და დამსახურებასთან ერთად ყაყაჩოც უგროვებია. აქ ყველგან ყაყაჩოა – სურათებზე, სუვენირებზე, ჭურჭელზე, ნაქარგებზე, სუფრებზე, ქსოვილებზე, ლარნაკზე...ამ სამყაროს ძალიან უხდება მისი თმაშეკერცხლილი დიასახლისი ქეთევან ანჯაფარიძე. იგი არც პოეტია და არც მხატვარი, ექიმია, თეთრხალათიან დასტაქართა ძველი არმიის წარმომადგენელი, ვისაც სიცოცხლისა და ადამიანების სიყვარული არასოდეს დაშრეტია. იგი ექიმი იყო მთელი არსებით, მოწოდებით...

თოჯინებისთვის სიცხის გაზომვის დროიდან ოცნების რეალურად ასრულებამდე დიდი და რთული გზა განვლო: 1922 წლის 9 ნოემბერს, მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში, ლავრენტი ანჯაფარიძისა და ფენია ფაღავას ტრადიციულ ქართულ ოჯახში დაიბადა. მამა იურისტი იყო და მოსკოვში მუშაობდა, დედას პეტერბურგის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი დაემთავრებინა. მაგრამ მამა ისე გადაასახლეს, საქართველოში დაბადებული ტყუპი გოგონები – ქეთევანი და თამარი არც უნახავს.

გადიოდა წლები...სკოლის წარჩინებით დასრულების შემდეგ ქეთევანმა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შეიტანა საბუთები, მაგრამ ფრიადოსანთა დიდმა კონკურსმა ხელი შეუშალა სტუდენტად გახდომაში. მალე ქეთევან ანჯაფარიძე სოხუმში წამყვან თანამდებობაზე დანიშნეს. ერთ წელიწადში სამამულო ომიც დაიწყო...მთელი ენერგია სამშობლოს, ფრონტს – ასეთი იყო მისი დევიზი.

1943 წელს სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა, რომლის დამთავრების შემდეგ, 1949 წელს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სოხუმში ნამოღვაწარი ისევ აფხაზეთში გააგზავნა „ხელმძღვანელ სამუშაოზე გამოსაყენებლად“.

მალე სოხუმის მთავარ ეპიდემიოლოგად, შემდეგ კი – ჯანდაცვის სამინისტროს ეპიდსაწინააღმდეგო სამმართველოს უფროსად დაინიშნა. შვიდი წლის განმავლობაში ქეთევან ანჯაფარიძე აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმი იყო.

1960 წლიდან იგი თბილისში რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში თერაპიული განყოფილების ექიმი-ორდინატორია. 1974 წელს მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ხოლო როდესაც საქართველოში პირველად გაიხსნა ნეფროლოგიური განყოფილება, მის გამგედ ქეთევან ანჯაფარიძე დაინიშნა. 30 წლის განმავლობაში აქ ინერგებოდა კვლევისა და მკურნალობის ახალი, თანამედროვე მეთოდები, დიდი ყურადღება ექცეოდა ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

35 წლის განმავლობაში იგი საქართველოს სანიტარიული ავიასამსახურის ექიმი-კონსულტანტიც იყო. ქეთევან ანჯაფარიძე, ქართველ მედიკოსებთან ერთად, ოპერატიულად ჩავიდა სპიტაკში და მიწისძვრით დაზარალებულებს დაეხმარა...

– ჩემი პროფესია ძალიან მიყვარდა, ვერასოდეს ვუღალატებდი, – გვითხრა მან, – პაციენტების მიმართ გულისხმიერების გარეშე ერთი დღეც არ მიცხოვრია. თუ საჭირო იყო, სამი-ოთხი დღე შინ არ მივდიოდი. ადგილზე ვათენებდი და ვაღამებდი. რაიონებიდან გამოძახებებს ვერ ავუდიოდით. ქუთაისიდან წალკაში გადავსულვარ და...ავადმყოფი არ მიმიტოვებია. უმძიმეს ავადმყოფებს ვგულისხმობ. იმ წუთას ერთ ადამიანს დიდი პასუხისმგებლობა მეკისრებოდა, ავადმყოფის თბილისში გადაყვანა-არგადაყვანის საკითხი თავად უნდა გადამეწყვიტა, თან იმაზეც მეფიქრა, მგზავრობას როგორ აიტანდა, ანდა, რა დასჭირდებოდა ადგილზე გადაუდებელი დახმარების გასაწევად...ძალზე დატვირთული დღეები გვქონდა..., – ამბობს იგი.

აქვე დავძენ, რომ ქეთევან ანჯაფარიძემ იმ 11 ჭაბუკის სიცოცხლე გადაარჩინა, რომლებმაც შეცდომით არყის ნაცვლად ანტიფრიზი დალიეს. ძლიერი ინტოქსიკაციის გამო საჭირო იყო მათი ჯერ ენგურჰესიდან ქუთაისში, შემდეგ კი ქუთაისიდან თბილისში ჩამოყვანა. ქალბატონმა ქეთომ თითქმის შეუძლებელი შეძლო, საქართველოს მინისტრთა საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს ზურაბ პატარიძეს დაუკავშირდა და დაზარალებულები თბილისში სასწრაფოდ ვერტმფრენით გადმოიყვანეს.

„რამდენჯერ მთავარ ექიმს დაურეკავს და უთხოვია ავადმყოფზე – ქალბატონო ქეთო, მართალია, თქვენი პროფილის არ არის, მაგრამ თქვენთან კარგი პირობებია და იქნებ, მანდ დააწვინოთო...ცოტა უხერხეულია საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენი განყოფილება ყოველთვის საქმის ერთგულებით გამოირჩეოდა. 1100-საწოლიან საავადმყოფოში 30-საწოლიანი განყოფილების ასე დაფასება უმნიშვნელო არ იყო...“, – ეამაყება მას.

რესპუბლიკის მთავარი თერაპევტ-ნეფროლოგი აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა. მონაწილეობდა საზღვარგარეთ გამართულ კონფერენციებში, მოხსენებებით გამოდიოდა. ღვაწლმოსილმა მედიკოსმა მრავალი ჯილდო, მადლობა და წოდება მიიღო: ჯანდაცვის ფრიადოსნის მედალი, უმაღლესი კატეგორიის ექიმის წოდება, ღირსების ორდენი... მისთვის ყველაზე ძვირფასია პირად არქივში შენახული სამადლობელი წერილები. რევაზ ლაღიძე წერს: „ჩემი სიცოცხლის უსაფრთხოებისთვის გაღებული ღვაწლისა და ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნვისათვის უკიდეგანო მადლობა“;

„კეთილ ექიმ ქეთოს, რომელმაც თავისი სითბოთი ქართველი ქალისა და ექიმის ჰუმანურობით გაალამაზა ჩემი დღეები კურორტ საირმეში მკურნალობისას და სამუდამოდ დატოვა ხსოვნა ჩემს გულში“, – ეს კი სერგეი მიხალკოვის წერილია. **მსგავსი ბარათები მრავლადაა ქალბატონი ქეთევანის ალბომში. სიკეთით მადლმოსილი ქალბატონი საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წევრია, მათთან ერთად მრავალ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობდა. მისი შრომა, როგორც ქველმოქმედისა, ამ მხრივაც მნიშვნელოვანია. ახლა კი მისი საიუბილეო, 90 წლისთავი ასოციაციამ გამორჩეულად აღნიშნა.**

„ერთმა ფრანგმა თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე ყველაფერს მიაღწია. პოეტობა დაიწყო, ლექსები მოუწონეს, ნოველები დაწერა, უმალ გაუვარდა სახელი, მერე ხატვაც მოსინჯა და, არიქა, რა კარგი მხატვარი ყოფილაო, – შეაქეს. ბოლოს კი უთხრეს, თქვენ უბედნიერესი კაცი ხართ, ყველა ეტაპზე ბედნიერი იყავითო. დაფიქრდა ეს კაცი – არაო, ვერ გეტყვით, რომ ბედნიერი ვიყავი, მე მხოლოდ კარგად ვიცხოვრეო...ბედნიერების ცნება რთულია, წუთები და წამები უფრო არის, ვიდრე პერიოდი...მე ვიტყოდი, საქმიანად, ნაყოფიერად ვიცხოვრე მთელი 90 წელი“..., – ამბობს და სიკეთის სხივით უნათდება თვალები.

...ვერაზე, პატარა მყუდრო სავანეში, ბედნიერად გრძნობს თავს... მართალია, ამ ბოლო დროს თეატრებში, მუზეუმებსა და გამოფენებზე წასვლას ვეღარ ახერხებს, მაგრამ უწინდელი ხალისი არ დაუკარგავს. ბევრს კითხულობს წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს ქართული ენის სიწმინდის საკითხს. აღშფოთებულია მასმედიის „დაბინძურებული“ ენით, ამ პრობლემასთან დაკავშირებით იგი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასაც“ ეხმიანება ხოლმე. ქვეყნის მაჯისცემას მიყურადებია...შთაბეჭდილებებს მეგობრებსა და ახლობლებს ტელეფონით უზიარებს, ისინი სახლშიც ხშირად სტუმრობენ, წუთით არ ტოვებენ მარტოს.

ქალბატონ ქეთოს ნათლულების მთელი პლეადა ჰყავს. დღე არ გავა, რომელიმემ არ შემოუაროს და თბილად არ მოიკითხოს...ისიც მაშინვე დაახვედრებს მათ ხან კარგ ლექსს, ხან წერილს გაზეთებიდან, ხან ახალ ნაქარგს... **„ბავშვები რომ გაუჩნდათ, ახალდაბადებულებს ჩემი ამოქარგული საბნის შალითები ვაჩუქე, და ეს ხალისი, სითბო და სიყვარული, სურვილი, რომ ისინი რაიმეთი ვასიამოვნო, დღემდე შემომრჩა. ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს, ვინმეზე გავბოროტებულიყავი“...** – ამბობს და ყაყაჩოებიან ოთახში თვითონაც ამ საოცრად ქართული ყვავილივით მოჩანს. **„მგონია, ზოგჯერ ამ ქვეყანაზე ამ ყვავილისთვის უნდა მოხვიდე!“** – მეუბნება პოეტის ლექსს და იქვე დასძენს: **„ყაყაჩო საქართველოს სიმბოლოა, დაღუპული ვაჟკაცების სისხლიცაა, ამბობენ, ზოგჯერ კი მხურვალე ქართული სიყვარულია“...**

ქალბატონი ქეთო გონიერი ქმედებებით ყოველთვის წინ უსწრებდა, აღემატებოდა დროსა და კონკრეტულ სიტუაციას. არისტოკრატიზმით, ღვთისაგან ბოძებული ნიჭით – გამორჩეული ღირსებით ცხოვრობდა, ყოფას უმსუბუქებდა, ამხნევებდა ადამიანებს... სიკეთეს თესდა.

აი, რატომაა ამ სიყვარულით შთაგონებული ქალბატონის გზა დალოცვილი და მადლიანი!

თამარ შაიშმელაშვილი

ავტორის ფოტო

◎ ამაგდარი

სამშობლოსათვის მებრძოლი

ომისა და სამხედრო ძალების სახელოვან ვეტერანს მოსე მდინარაძეს დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდა. მხურვალედ მივესალმებით ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობისათვის შრომასა და ბრძოლაში გამოწრთობილ, ამაგდარ ვეტერანს, მრავალათასიანი საზოგადოებრივი გაერთიანების აღიარებულ ლიდერთა შორის ღვაწლმოსილ პიროვნებას, ადამიანური ბედნიერების საუკეთესო სურვილებით.

მხედრული ტრადიციების ოჯახში აღზრდილი გურული ყმაწვილი ფაშიზმთან ომის დაწყების დღეებში უყოყმანოდ წავიდა სამამულო ომის ფრონტზე სამშობლოს დასაცავად. მან ღირსეულად განაგრძო საყვარელი ბაბუის გმირული საბრძოლო გზა, რომელსაც რუსეთ-თურქეთის ომში მიღებული ჰქონდა მაღალი ჯილდოები. ბატონი მოსეს მამა ჯიმშეთი აქტიურად მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1942 წლის იანვარში მოსე მდინარაძემ წარმატებით აითვისა არხანგელსკის ე. წ. „მცირე აკადემიის“ სამხედრო თეორიის პროგრამა, რისთვისაც მას მიენიჭა უფროსი ლეიტენანტის წოდება, დაინიშნა მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაურად, შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა მოთხილამურეთა ბატალიონს. 1944 წლის იანვარში არმიის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით მ. მდინარაძე დაინიშნა მსროლელთა გვარდიული პოლკის მეთაურად. ამრიგად, ორწელიწადნახევარში ასეულის ზემდეგი მოსე მდინარაძე 26 წლის ასაკში პოლკის მეთაურად ჩამოყალიბდა, რაც იშვიათი შემთხვევაა. 1944 წლის ივნისში მისმა პოლკმა გაარღვია გერმანელ ფაშისტთა თავდაცვის ხაზი და პირველი გავიდა სახელმწიფო საზღვარზე, მაგრამ აქ იგი ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. ცხრა თვე იშუშებდა ჭრილობებს. იგი ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობებით დაუბრუნდა თავის დივიზიას, რომელიც იმ დროისთვის მონღოლეთის ტერიტორიაზე ბაიკალისპირეთის ფრონტის შემადგენლობაში იმყოფებოდა. მ. მდინარაძის მეთაურობით პოლკმა აქტიური მონაწილეობა მიიღო იაპონიის კვანტუნის არმიის დამარცხებაში.

დიდ სამამულო ომში გამოჩენილი მამაცობისა და სარდლობის საბრძოლო დავალებების სანიმუშოდ შესრულებისათვის მოსე მდინარაძე დაჯილდოებულია სამი წითელი დროშის, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის პირველი ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, აგრეთვე, მრავალი საბრძოლო მედლით.

1995 წლიდან იგი აქტიურად ჩაება ომის ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობაში. სხვადასხვა დროს არჩეული იყო ქ. თბილისის ვეტერანთა ვაკის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ, თბილისის ვეტერანთა საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ბატონო მოსე! ჩვენო საამაყო მეგობარო, მოგესალმებით გულითადი პატივისცემით დაბადებიდან 95 წლის შესრულების საიუბილეო დღეებში და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას თქვენი მხედრული მძიმე ცხოვრების ერთგულ თანამგზავრთან – ქალბატონ ეთერისთან ერთად შექმნილ მრავალრიცხოვან ოჯახში. გაიხარეთ და გვახარეთ ახალი დიდი წარმატებებით მშობლიური ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის სამსახურში.

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის ბიუროს სახელით, პოლკოვნიკი

რევაზ ნაცარიშვილი.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სამბო

ჩოხოსნებმა მინსკშიც იყოჩალეს

თითო „ოქრო-ვერცხლი“ და ოთხი „ბრინჯაო“ — ასეთი მონაგარით დაასრულა საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელსაც ბელარუსის დედაქალაქმა უმასპინძლა.

ასპარეზობის პირველ დღეს 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა 27 წლის გიორგი ბაინდუროვი (უწინ ბაინდურაშვილის გვარით გამოდიოდა). სპორტული კარიერა მან სამბოთი დაიწყო, მერე ძიუდოში გადაინაცვლა, სადაც არაერთ წარმატებას მიაღწია, პეკინის ოლიმპიადის საგზურიც დაიმსახურა, მაგრამ 2008 წელს ჩინეთის დედაქალაქში მის ნაცვლად სხვა წაიყვანეს. გულდაწყვეტილმა ისევ სამბოს მიაშურა. ბელარუსის დედაქალაქი მისთვის ფეხბედნიერი აღმოჩნდა: ზედიზედ სძლია რამდენიმე მეტოქეს, ფინალში კი რუსეთის სახელით მოასპარეზე ედუარდ კურგინიანს დამაჯერებლად აჯობა — 10:1, არადა, ჩრდილოელი მოწინააღმდეგე ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველობების ორგზის პრიზიორია. ამ წონაში ბრინჯაოს მედლები ძიუდოში ევროპის ჩემპიონმა ანდრეი კაზუსიონაკმა (ბელარუსი) და ერკინ დონიუროვმა (ყაზახეთი) მოიპოვეს.

შეჯიბრების სტარტზე საქართველოს დელეგაციას ბრინჯაოს ჯილდო ფოთელმა ნუკრი ბერაიამ (52 კგ) მოუტანა. მხოლოდ გადამწყვეტი პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა ძიუდოში ევროპის ორგზის ვიცე—ჩემპიონი ლევან ჟორჟოლიანი (100). მათ გარდა, კვარცხლბეკზე კიდევ სამი ქართველი ჩოხოსანი ავიდა: თითო ორთაბრძოლა წააგეს და მესამე ადგილები დაიკავეს ბესარიონ ბერულავამ (74), ნიკო კუციამ (82) და ქალებში ირინე ლეონიძემ (80).

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ვაჟთა ნაკრები რუსებისა და ბელარუსების შემდეგ მესამე იყო.

ლეძსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

ასე ვერ გავფრინდებით

XXII ეროვნული ჩემპიონატის IV ტურში, ფეხბურთელ თანაქალაქელთა მსგავსად, ბათუმელმა კალათბურთელებმაც ივაჟკაცეს, თუმცა მათგან განსხვავებით, საქმე პირველ გამარჯვებამდე მიიყვანეს.

სოხუმელებთან ზღვისპირული დერბის ბედი სამქულიანებით გადაწყდა, რომლებსაც დროის სხვადასხვა მონაკვეთში სამგალითო სიზუსტით ასრულებდნენ კეშელავა (19 ქულა), რამიშვილი (15 ქულა) და მაისურაძე (10 ქულა) — 75:67.

საინტერესო შერკინება იყო მოსალოდნელი აქამდე დაუმარცხებელთა — შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდისა და „რუსთავის“ შეხვედრაში, თუმცა ძალოვნებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს და სუპერლიგის ანტირეკორდი დაამყარებინეს შედეგიანობის მხრივ — 88:44. აღსანიშნავია, რომ თამაშის მეხუთე წუთზევე მსაჯებმა ზედიზედ ორი ტექნიკური შენიშვნის გამო სარბიელიდან წესრიგის დამცველთა ერთ-ერთი ლიდერი ჩაკ პრუეტი გააძევეს, მაგრამ ამით უთანასწორო ბრძოლის სურათი ოდნავადაც არ შეცვლილა.

ზემოთ ანტირეკორდი ვახსენეთ და, ჰოი, საოცრებავ — მოგვიანებით იგი სტუ-მ „გააუმჯობესა“, რომელმაც ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ „არმიასთან“ თავმოყვარეობა შეილახა — 42:95. დაგვეთანხმებით, მდიდარი საკალათბურთო ტრადიციებით გამორჩეულ სტუდენტთა კლუბს უკეთესი ხვედრი ეკუთვნის.

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს გუნდს, მან ევროჩელენჯზე ბელგიის „ანტვერპენთან“ დღევანდელი თამაშის წინ (მატჩი თბილისის სპორტის სასახლეში 18 საათზე დაიწყება) საფუძვლიანად გაივარჯიშა.

დანარჩენი შედეგები: „ქუთაისი“ — „დინამო“ 90:78, „ოლიმპი“ — თსუ 98:51. ისვენებდა „სამედიცინო“.

სატურნირო მდგომარეობა: შსს აკადემია — 4, „ქუთაისი“, „რუსთავი“, „არმია“, „ოლიმპი“ — 3-3, „დინამო“ — 2, „ბათუმი“, თსუ — 1-1, სტუ, „სოხუმი“, „სამედიცინო“ — 0 მოგება.

შემდეგი ტური: „ბათუმი“ — „ქუთაისი“ (16 ნოემბერი), „სამედიცინო“ — „ოლიმპი“, თსუ — „რუსთავი“, „სოხუმი“ — „არმია“, სტუ — შსს აკადემია (17 ნოემბერი). ისვენებს „დინამო“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

„ტრიუმფალური თაღგამოვლილები“ თბილისში ითამაშებენ

საძართველოს მორაგბეთა ნაკრები 17 ნოემბერს იაპონიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე. თბილისში ჩამოსვლამდე ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებმა ტესტმატჩი ბუქარესტში „ტრიუმფალურ თაღზე“ გამართეს. მატჩის პირველი წუთებიდანვე უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ, თუმცა ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს ზუსტი საჯარიმო დარტყმით. კუნძულელებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა, ტაიმი კი 17:9 მოიგეს. იაპონელებს ინიციატივა არც შესვენების შემდეგ დაუთმიათ და საბოლოოდ 34:23 გაიმარჯვეს. რუმინელთა რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო ოთარ ტურაშვილი იყო.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

ფეხბურთელთა XXIII ეროვნული ჩემპიონატის XIV ტურში გორის „დილამ“ ზედიზედ მეათე, ხოლო ზუგდიდის „ბაიამ“ — ასევე მიჯრით, მეექვსე გამარჯვებები მოიპოვეს, რაც კიდევ უფრო სასიკეთოდ აისახა მათ სატურნირო მდგომარეობაზე, მაგრამ სათამაშო დღის მოვლენად მაინც გია გურულის გაწვრთნილი „ბათუმის“ თბილისური ვიზიტი უნდა მივიჩნიოთ, რომლის ბედიც გათამაშების ლიდერმა თავის სასარგებლოდ მატჩის ბოლოს გადაწყვიტა.

„დინამო“ — „ბათუმი“ 5:3, „სიონი“ — „დილა“ 0:2, „ზესტაფონი“ — „ტორპედო“ 1:0, „მერანი“ — „მეტალურგი“ 0:0, „ბაია“ — „კოლხეთი“ 1:0, „ჩიხურა“ — „ვიტ ჯორჯია“ 4:0.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ — 33, „დილა“ — 31, „ჩიხურა“, „ბაია“, „ტორპედო“ — 26-26, „ზესტაფონი“ — 24, „მეტალურგი“ — 17, „ვიტ ჯორჯია“ — 15, „მერანი“ — 14, „სიონი“ — 13, „ბათუმი“ — 8, „კოლხეთი“ — 3 ქულა.

* * *

იტალია. „პესკარა“ — „იუვენტუსი“ 1:6, „ლაციო“ — „რომა“ 3:2, „მილანი“ — „ფიორენტინა“ 1:3 „ატალანტა“ — „ინტერი“ 3:2, „ჯეროინა“ — „ნაპოლი“ 2:4.

ესპანეთი. „მალიორკა“ — „ბარსელონა“ 2:4, „ატლეტიკო“ — „ხეტაფე“ 2:0, „ლევანტე“ — „რეალი“ 1:2, „ბილბაო“ — „სევილია“ 2:1, „ვალიადოლიდი“ — „ვალენსია“ 1:1.

ინგლისი. „ასტონ ვილა“ — „მანჩესტერი“

2:2, „სიტი“ — „ტოტენჰემი“ 2:1, „ჩელსი“ — „ლივერპული“ 1:1, „არსენალი“ — „ფულჰემი“ 3:3, „ნიუკასლი“ — „ვესტ ჰემი“ 0:1.

გერმანია. „ბაიერნი“ — „აინტრახტი“ 2:0, „შალკე“ — „ვერდერი“ 2:1, „ვოლფსბურგი“ — „ლევერკუზენი“ 3:1.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

კალაშნიკოვამ მოიგო და ასეულშიც შევიდა

თბილისელები — ოქსანა კალაშნიკოვა და სოფიო შაფათავა ინდოეთის ქალაქ პუნეში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 125.000 დოლარი) ცდიდნენ ძალებს. ერთეულთა თანრიგში ორივე ჩვენებური ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა შეჯიბრებას, სამაგიეროდ, კალაშნიკოვამ წყვილებში იყოჩაღა — რუს ნინა ბრატჩიკოვასთან ერთად ზედიზედ დაამარცხა ინდოელები (ბოსალეტომბარე) — 6:3, 6:3, უკრაინელები (საჩუკი-სვიტოლინა) — 7:5, 6:2, ჩინელები (ქსუ-ჟოუ) — 6:3, 7:5, გადამწყვეტ შეხვედრაში კი ოქსანამ და ნინამ იულია გლუშკო (ისრაელი) — ნოპავან ლერტჩევაკარნის (ტაილანდი) დუეტს 2:1 (6:0, 4:6, 10:8) აჯობეს და მთავარ პრიზთან ერთად 160 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურეს. ამ ნადავლით კალაშნიკოვა წყვილთა საუკეთესო ასეულში შევიდა, სადაც 828 ქულით 97-ე ადგილი უკავია, ხოლო 22 წლის ანა ტატიშვილი 1021 ქულით 82-ეა.

ლაშა დიდია

სურათზე: ნინა ბრატჩიკოვა (მარცხნივ) და ოქსანა კალაშნიკოვა

◎ რეტრო

ბრწყინვალე მეორე

პაულ კერესი (1916, ნარვა — 1975, ტალინი) — საერთაშორისო დიდოსტატი (1950), ესტონეთის ჩემპიონი (1934), მსოფლიო ჩემპიონატის საზონათაშორისო ტურნირების მრავალგზის ფინალისტი (1950-1962), საჭადრაკო კომპოზიტორი, საერთაშორისო არბიტრი (1957), ჭადრაკის თეორეტიკოსი და ლიტერატორი, სამატჩო შეხვედრაში დაამარცხა მსოფლიო ექს-ჩემპიონი მაქს ეივე (1929).

— „კერესი ჭადრაკის გენიოსია, მაგრამ ადრეც იყვნენ მსგავსი გენიოსები (მაკ-დონელი, ცუკერტორტი, ჩიგორინი, ტარაში, პილსბერი), რომლებიც ბრწყინვალე მეორენი იყვნენ“, — ამბობდა ტარტაკოვერი (1938). ეს წინასწარმეტყველება გამართლდა, პაულ კერესი მსოფლიო ჩემპიონატებს მხოლოდ ფინალური სტადიებიდან ეთიშებოდა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პაულ კერესი გამოჩნდა, როგორც მეტეორი და სულ მცირე დროში მიაღწია თავბრუდამხვევ წარმატებებს. 22 წლის ესტონელი ჰოლანდიაში „ავრო“ ტურნირის (1938) ჩემპიონი გახდა. გაუსწრო ისეთ სახელოვან დიდოსტატებს, როგორებიც იყნენ ბოტვინიკი, ალიოხინი, კაპაბლანკა და ეივე. ამ ტურნირში ის იყო ერთადერთი, რომელმაც არ განიცადა არც ერთი დამარცხება.

ძნელია თქმა, სად უფრო მეტად აფასებდნენ ამ ბრწყინვალე მოჭადრაკის ხელოვნებას, თბილისში თუ ბაქოში, მოსკოვში თუ სანკტ-პეტერბურგში, პრაღაში თუ ბუდაპეშტში, თუ კაპაბლანკას მშობლიურ კუბაზე ჰავანაში.

ამ მხრივ გამორჩეულად მაინც თბილისია!

1946 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირში საქართველოს პირველმა საერთაშორისო ოსტატმა ვიქტორ გოგლიძემ მოიწვია პაულო კერესი, რის გამოც, როგორც ბ-ნი ვიქტორის ვაჟიშვილი ვლადიმერ გოგლიძე იგონებს, მთელი რიგი უსიამოვნებები გადახდა. პაულ კერესი II მსოფლიო ომის დროს ოკუპირებულ ბალტიისპირეთში ერთდროულ სეანსებს ატარებდა, რომელშიც გერმანელებიც მონაწილეობდნენ. კომუნისტური რეჟიმი არ იყო შემწყნარებელი ასეთი „აპოლიტიკური“ მოჭადრაკის მიმართ. თბილისში დაშვებულმა პრეცედენტმა შემდგომში ფართო ასპარეზი გაუხსნა ბრწყინვალე დიდოსტატს (**თ. შ.**).

კერესი ღრმად აანალიზებდა საჭადრაკო პარტიის ყველა სტადიას. მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ესპანურ პარტიაში, სოციალურ და ნიმცოვიჩის დაცვაში. მისი კომენტარებით პრესაში გამოქვეყნებულია 1000 პარტია.

ესტონელმა დიდოსტატმა 1700-მდე ამოცანა და 30 ეტიუდი შეადგინა.

პაულ კერესის ორიგინალური და თავისებური სტილი დღესაც აქტუალურია და აღტაცებას იწვევს საჭადრაკო სამყაროში.

მოამზადა
თამაზ შენგელია

კერესი — ლევენფიში 1947

დარტყმა და მეტოქემ ფარ-ხმალი დაყარა.

კერესი — ლევენფიში 1949



იგივე მეტოქესთან ორი წლის შემდეგ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

ლექსის ბედი

პოეტის სიცოცხლე ხომ მისი ლექსების უკვდავებაა. თაობები იმეორებენ, მაგალითად, იოსებ ნონეშვილის რამდენიმე ლექსს...

...მივდივარ რუსთაველზე, გვიანი შემოდგომა ფარფატით აცვენს გამზირზე ჭადრის ყვითელ ფოთლებს. ორი ბიჭუნა, ასე 12-13 წლისა, ეტყობა, სკოლიდან მომავალნი, გზაჯვარედინზე სახემკვირცხლად ემშვიდობებიან ერთმანეთს: „ხვალ, ხომ იცი, ქართულში რა გვაქვს, გოგა!.. „შემოდგომას, სულ პირველად, რუსთაველზე გაიგებ!“ არ შეგეშალოს!..“

„შენ იკითხე, შენ!, აბა კარგად!..“

ჩემს გულჩვილობას რა ვუთხრა — ბურთი მეჩხირება ყელში!.. „გაიზარდეთ, ბაბუ!.. ეს ლექსი, ცხადია, იცით, რომ იოსებ ნონეშვილისაა — ქართველი ხალხის ერთ-ერთი საყვარელი პოეტის... სულ დახატული აქვს თბილისური შემოდგომა... როგორ წერს?

შემოდგომას სულ პირველად,
რუსთაველზე გაიგებ,
ქარი ფოთლებს, ჭადრის ფოთლებს,
გაშლის, ფეხქვეშ გაიგებს...

გესმით, ბიჭებო?! ეს ლექსი, დღესაც, შემოდგომაზე, ჭადრების ფოთოლცვენისას, დარწმუნებული ვარ, ახსენდებათ უფროსი თაობის პოეზიის მოყვარულთ, ეს ლექსი ხომ იმ დროს დაიწერა, როდესაც არც სიხარული („კომუნისტური რეჟიმის“ მიუხედავად) და არც მოლხენა აკლდათ ადამიანებს... შეასრულეთ მასწავლებლის დავალება, ისწავლეთ „შემოდგომა თბილისში“ ზეპირად და, დარწმუნებული ვარ, მისი სტრიქონები აუცილებლად გაგახსენდებათ ხოლმე, ან მარტოდ, ან გულისსწორთან ერთად რუსთაველზე გასეირნებისას.

დამიბრუნეთ მამის სახელი და ეროვნება!

საქართველოს პარლამენტის უმრავლესობას, ***რადგან, უმცირესობისთვის, ეს საკითხი დღესაც დიდს არაფერს ნიშნავს:***

ბატონებო, საქართველოს ახალო ხელისუფლებავ, რომელსაც იმედით შემოგყურებთ, თითქმის, მთელი საქართველო!

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ყველა სიკეთესთან ერთად, რა კურიოზულ გადაწყვეტილებებს იღებდა „მიშას პარლამენტი“. მაგალითად, ამ „სახალხო კრებამ“ არად ჩააგდო ჩვენი მოსახლეობის რისხვა, არც რეზო მიშველაძის, არც ცხონებული გურამ შარაძის და სხვათა პროტესტს მოერიდა, დიდი „დაკა-დაკას“ შემდეგ, მაინც თავისი გაიტანა და, ვითომ საკანონმდებლო ორგანოს სხვა მეტი არაფერი საქმე ჰქონოდა, დააკანონა, რომ საქართველოში ოფიციალურ დოკუმენტებში იკრძალება ეროვნებისა და მამის სახელის ჩაწერა.

იმთავითვე გამოვეხმაურე (ქვეყანა გამოეხმაურა) ამ, საქართველოსთვის, მიუღებელ კანონს, როგორც ერთი რიგითი ჟურნალისტი, მაგრამ, მოგეხსენებათ, „მიშას დროში“ „მიშას პარლამენტის“ სიტყვა „ერთადერთი“, და „შეუმცდარი“ იყო და... ასევე წავიდა და წავიდა... უკვე მიავიწყდა ხალხს (არ მიავიწყდა, ფაქტს შეურიგდა) მამის სახელიც და ეროვნებაც. არადა, ჩვენნაირი მცირე ერისთვის, ჩვენნაირი ტრადიციული ქვეყნისთვის, ეროვნება — ქართველი, სადაც მამა-პაპა (დღემდე მაინც) სათაყვანო იყო, და მომავალშიც ეს სახელები გულის კოვზზე უნდა გვეწეროს! **ბოდა, მივუბრუნდეთ ამ საკითხს ახალ პარლამენტში (ახალი ხელისუფლება, ბატონი ბიძინა ივანიშვილი ხომ ბევრი ეროვნული საქმის თავკაცობას დაგვპირდა) — ეროვნება და მამის სახელი — დავაბრუნოთ ე. წ. ოფიციალურ დოკუმენტებში, თორემ ჩვენს გულებში ეს ორი ხატება ღმერთმა ნუ მოშალოს!**

„მიშას პარლამენტის“ წევრებმა იკითხონ, თორემ მე (და კიდევ ბევრ ქართველს) არ გვეშლება, საიდან მოვდივართ და დავწერთ კიდეც, ოტია იოსელიანისეუბრად...

ვილენ ვენედიქტეს ძე, ვენედიქტე ვლადიმერის ძე, ვლადიმერ პავლეს ძე, პავლე ივანეს ძე, ივანე თევდორეს ძე მარდალეიშვილი.

◎ ინფორმაცია

დატოვეს პოლიტპატიმრების საკითხების შემსწავლელი ჯგუფი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელ სამუშაო ჯგუფს ტოვებენ. როგორც მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მუშაობისას გამოვლინდა არაერთი პრობლემა, რომლებიც ხელის შემშლელი აღმოჩნდა ჯგუფის ეფექტიანად მუშაობისთვის და აქედან გამომდინარე საია და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ამ ჯგუფში მუშაობას წყვეტენ.

— მივესალმებით საქართველოს პარლამენტის ინიციატივას პოლიტპატიმრების საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროცესის წამოწყება და სწორად წარმართვა უმნიშვნელოვანესია სამართლიანობის აღსადგენად, სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, მონაწილეობა მიგვეღო სამუშაო ჯგუფის მუშაობაში და ჩვენი წვლილი შეგვეტანა ამ მნიშვნელოვან პროცესში. თუმცა, სამუშაო ჯგუფის მუშაობისას გამოვლინდა არაერთი პრობლემა, რომლებიც ხელის შემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა ჯგუფის ეფექტიანად მუშაობისათვის.

სამუშაო ფორმატი და ვადები არ იძლევა საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შესაძლებლობას. ჩვენ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ მივიჩნევთ, რომ ჯგუფმა უნდა მოამზადოს დასაბუთებული, ობიექტური და სამართლიანი რეკომენდაციები თითოეული საქმის შესახებ, რათა თავიდან ავიცილოთ ზედაპირული შეფასებები, უზუსტობები და უსამართლო მიდგომები.

მიგვაჩნია, რომ დადგენილი ორკვირიანი ვადის ფარგლებში და ჯგუფის მიერ განსაზღვრული ფორმატით შეუძლებელია 185 პოლიტიკური პატიმრისა და 13 პოლიტიკური დევნილი პირის საქმეებზე სრულყოფილი დასკვნების მომზადება. ჩვენთვის ცნობილია, რომ სამუშაო ჯგუფის მანდატის ვადის გაგრძელება არ იგეგმება, რაც საკითხის სიღრმისეულად შესწავლის შესაძლებლობას არ იძლევა. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ვერ კისრულობს ამ ფორმატით სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის ვალდებულებას და მუშაობას წყვეტს., — განმარტავენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

მიბაძავს ძმას მიხეილ სააკაშვილი?

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელმა დავით სააკაშვილმა გადადგომის შესახებ განცხადებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილს მიმართა. ამის შესახებ დავით სააკაშვილის განცხადებაშია ნათქვამი.

— 2 ოქტომბერს ჩვენმა ქვეყანამ გადალახა დემოკრატიის გზაზე მიმავალი ერთ-ერთი ურთულესი ეტაპი, რომელიც სამართლიანი არჩევნების და ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემით მსოფლიო საზოგადოების აღიარება მოიპოვა. ქართველი ხალხის მოპოვებული მანდატი ახალ მთავრობას უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს, მაგრამ ასევე დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენ — იმ ადამიანებს, რომლებიც წლების მანძილზე ვემსახურებოდით საქართველოს. რეფორმები უნდა გაგრძელდეს ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით სასამართლო სფეროში, რომელიც არის ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ინდიკატორი. მეც, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, გვაქვს იმედი, რომ სასამართლო იქნება დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ღირსეული მოსამართლეებით დაკომპლექტებული. მოსამართლეების შერჩევა და მომზადება უნდა იყოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის უმთავრესი პრეროგატივა, რომელმაც ამ წლების მანძილზე ძალიან ბევრი პროფესიონალი კადრი მოუმზადა ქართულ სასამართლოს. მე ამ სკოლას ვხელმძღვანელობ ჯერ კიდევ 2000 წლიდან და დღეს მივიღე გადაწყვეტილება, მივმართო გადადგომის განცხადებით უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეს კონსტანტინე კუბლაშვილს. ვფიქრობ, რომ ჩემი გადაწყვეტილება დაეხმარება ახალ ხელისუფლებას სასამართლო სისტემის დახვეწასა და კიდევ უფრო გამართულად ფუნქციონირებაში, — აცხადებს დავით სააკაშვილი.

მიბაძავს ძმის ამ გონივრულ ნაბიჯს მიხეილ სააკაშვილი?

ინტერპრესნიუსი

ხსოვნა

თინათინ კობახიძე-ფარქოსაძე

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ექიმი, შრომის, წითელი დროშისა და ღირსების ორდენების კავალერი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი მეან-გინეკოლოგი თინათინ აკაკის ასული კობახიძე-ფარქოსაძე.

ქ-ნმა თინათინმა 1952 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, მოღვაწეობდა ოდესის, ლვოვის, კიევის წამყვან კლინიკებში გინეკოლოგიურ განყოფილებების გამგედ. 1977 წლიდან თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების გამგეა. მიღებული აქვს 30-მდე ჯილდო და სიგელი.

გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, ნიჭიერებით, ფიზიკური და პიროვნული ღირსებებით, აღზრდილი ჰყავს მეან-გინეკოლოგების მრავალი თაობა. იყო სამაგალითო მოქალაქე, ექიმი, მეუღლე, დედა და ბებია.

შპს „ამტელ ჰოსპიტალ I კლინიკურის“ გინეკოლოგიური მიმართულების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ქალიშვილი თამარ იაშვილი-ფარქოსაძე, სიძე გენადი იაშვილი, შვილიშვილები თინათინ, ირინე იაშვილები, მული დარეჯან ფარქოსაძე შვილებით, რძალი ლუცინდა სხირტლაძე-ფარქოსაძე შვილებით, მაზლი გურამ, იზოლდა ფარქოსაძე-გულორდავა შვილებით, მაზლიშვილები, ბიძაშვილი ელიზავეტა კობახიძე-ზირაქიშვილი ქალიშვილით, დისწული ირინე ჩლაიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ღირსების ორდენოსანი

თინათინ ფარქოსაძე-კობახიძე

პანაშვიდი 12 XI, 16 სთ. გამოსვენება 13 XI, 14 სთ. მისამართი: კოსტავას 75-გ, I სადარბაზო, მე-6 სართული (ტელევიზია „მზის“ წინ).

გივი, ლიანა იაშვილის ოჯახი, ირმა იაშვილი, ნინო იაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ქალბატონი, მეუღლე, დედა და ბებია

თინათინ ფარქოსაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ თამარ და გენადი იაშვილების ოჯახს.

ოთარ, ამირან წეროძეები, ჯანო ბაგრატიონი, დიტო ტყეშელაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული პიროვნება და შესანიშნავი მეგობარი

დურსუნ ჭყონია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, სანათესაოს და სამეგობროს. დაკრძალვა 15 XI, 15 სთ. ქ. ბათუმში, 26 მაისის ქუჩა, სახლი 40.

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

კითხვა: ვარ საქართველოს ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირის მეუღლე. გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელი კანონით დაენიშნება ჩემს მცირეწლოვან შვილს პენსია მამის გარდაცვალების გამო — „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონით თუ სხვა საკანონმდებლო აქტი მოქმედებს მსგავს შემთხვევაში?

ანასტასია ოგბაიძე

პასუხი: საქართველოს ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირის გარდაცვალების გამო, მცირეწლოვან შვილს ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია. მისი ოდენობა განისაზღვრება „საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონით.

* * *

კითხვა: დანიშნული მაქვს სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგრამ მისი რაოდენობის სისწორეში ეჭვი მეპარება. გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორი წესით ხდება აკადემიური სტიპენდიის ოდენობის განსაზღვრა სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთათვის?

ანგელინა გიგოსვანიძე

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს: 80%—ის ოდენობით — მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე პირთათვის და უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის სამეცნიერო—პედაგოგიური წოდების მქონე პირთათვის; 60%—ის ოდენობით — მეცნიერებათა კანდიდატის მქონე პირთათვის და უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში დოცენტის სამეცნიერო—პედაგოგიური წოდების მქონე პირთათვის და 40%—ის ოდენობით — სამეცნიერო ხარისხის არმქონე პირთათვის.

* * *

კითხვა: მაინტერესებს, რა იგულისხმება ამჟამად მოქმედი კანონით ტერმინში — „სრული სახელმწიფო კმაყოფა“.

ბეძარ დათუნაიშვილი

პასუხი: მსგავს შემთხვევებში იგულისხმება კვებით, თავშესაფრითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა ინსტიტუციაში მყოფი პირებისა, რომლებიც არიან სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სულიერება

წმინდანი ათნი ბევრნი (100 000) მოწამენი, თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულნი

13 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს 100 000 მოწამეთა ხსენებას.

...ცნობილია, რომ ქრისტიანულ საქართველოს კეთილმსახური მეფის, წმინდანის, საქართველოში მენელსაცხებლე დედათა სწორის, ივერიის მნათობის – თამარის გარდაცვალების შემდეგ ძნელბედობის ჟამი დადგა.

1225 წელს ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი თბილისისაკენ დაიძრა... ეს იყო უსაშინლესი სისხლიანი დღე ქართლის ცხოვრებაში. თბილისის ქუჩები და მტკვარი გვამებით იყო მოფენილი, სისხლის მდინარემ წალეკა ქალაქი. ბორცვებად ეყარნენ დახოცილები.

სულთანმა სიონის ტაძრიდან მაცხოვრის და მარიამ ღვთისმშობლის ხატები გამოასვენებინა, მტკვარზე გადებულ ხიდზე დასვენებინა და უბრძანა თბილისელებს „დათრგუნვა ხატთა“ და „დატევება სჯულისა“. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებდა „წარკუეთა თავთა ელოდა“. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებდა „წარკუეთა თავთა ელოდა“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპიკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „...100 000 ადამიანი ერთ დღეს ქრისტიანობისთვის წამებული, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა! ამ დღეს 100 000 მფარველი შეემატა საქართველოს, რომელთა ხსენება ყოველთვის „ქებით აღესრულების“ ჩვენს სამშობლოში“.

ყოველი წლის ამ დღეს ქრისტიანები მეტეხის ხიდთან იკრიბებიან, იკითხება სპეციალური ლოცვები, მტკვარში იყრება ათასგვარი ყვავილისგან შეკრული გვირგვინები, ინთება სანთლები მათ საოხად.

გიული ლიპარტია

◎ თავის მოვლა

გაციებათა სეზონი

მართალია, გრიპის ეპიდემია ჯერჯერობით გამოცხადებული არ არის, მაგრამ ნოემბერიც დადგა და შინ თუ გარეთ ახლობელ-თანამშრომლებში აშკარად იმატა ხველამ და ცხვირის ცემინებამ. არადა გაციებული ხალხი ნამდვილად ინფექციის მატარებელია, მათთვის თავის არიდება ყოველთვის ვერ ხერხდება (ვთქვათ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში), მაგრამ თავის დაცვა მაინც სასურველიცაა და აუცილებელიც.

გავრცელებული აზრის მიუხედავად, გაციების მიზეზია არა სიცივე, არამედ სხვადასხვა სახის ვირუსი, ბაქტერია და სხვა მიკროორგანიზმი, რომელიც ჩვენთან სხვა მატარებლებისგან ხვდება. ამიტომ, საიმისოდ, რომ თავი დავიცვათ, საჭირო ზომების მიღება ახლავე უნდა დაიწყოთ, რათა უცბად გაციება არ შეგეყაროთ. თუკი იძულებული ხართ საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავროთ, მაღაზიებსა და სამსახურში იაროთ, სადაც ბევრი გაციებული ადამიანია, ეცადეთ თავი მაქსიმალურად დაიცვათ. **რადგან ბანალურიც უნდა იყოს, ეცადეთ ხელი საპნით ხშირად დაიბანოთ. საქმე ისაა, რომ სწორედ დაბინძურებული ხელებიდან ხვდებიან ვირუსები ჩვენს ორგანიზმში ყველაზე ხშირ შემთხვევაში.** ოფისში მოძრაობისას – კარების გაღებისას, სახელურებზე ხელის მოკიდებისას, ლიფტის ღილაკებზე თითის დაჭერისას ეცადეთ სალფეტკები გამოიყენოთ, რადგან ეს ადგილები ყველაზე ბინძურია. **ქსოვილის ნიღბები კი, რომლებსაც ბოლო წლებში ჩვენში სულ უფრო ხშირად ხმარობენ ვირუსებისგან თავის დასაცავად, ორ საათში ერთხელ უნდა შეცვალოთ, რათა ისინი თავად არ გადაიქცნენ ინფექციის ბუდეებად.** ასევე სიფრთხილე გმართებთ „ზაფხულ-ზამთრის“ ტიპის კონდიციონერ-გამათბობლებთან, საჭიროების გარეშე ეცადეთ, ისინი არ ჩართოთ, ოთახებიც ხშირ-ხშირად უნდა გაანიავოთ. თანაც ამ ტიპის გამათბობლები რეგულარულად უნდა გაიწმინდოს, განსაკუთრებით დიდ საოფისე შენობებში. კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება ისაა, რომ ასეთი კონდიციონერ-გამათბობლები ჰაერის ტენიანობას ამცირებენ, მშრალ ჰაერში კი მიკრობები უფრო ადვილად ვრცელდებიან.

თუკი გაციების სიმპტომები იგრძენით (კერძოდ, ყელის ხიცინი, ცხვირის გაჭედვა, სისუსტე, სიმცივნე) ინფექციის დაძლევა თავიდანვე სცადეთ. საამისოდ საკმარისია ნატურალური სამკურნალო პრეპარატების მიღება ან წასმა (იგივე ოქსოლინის ან ვიფერონის საცხები, გრიპფერონი და ა.შ.), რომლებიც ვირუსების გამკლავებაში კარგ სამსახურს გაგიწევენ.

ინფორმაცია თემაში

ალერგიის გამოცნობას ადვილად შეძლებთ, თუკი საკუთარ თავს სამ მარტივ კითხვაზე გასცემთ პასუხს:

1. მუდმივად გაქვთ თუ არა გაციების სიმპტომები: სურდო, ყელის ხიცინი და სხვ.?

2. ახლავს თუ არა ინტოქსიკაციას სისუსტე, თავისა და კუნთების ტკივილი?

3. გრძელდება თუ არა თქვენი გაციება შვიდ დღეზე მეტს?

თუკი ერთ-ერთ ამ კითხვაზე თქვენ „არას“ იტყვით, მაშინ ალერგიის ეჭვი შეიძლება გქონდეთ.

თამარ გოგიაშვილი

◎ ანეკდოტები

– თქვენი ცოლი ძალიან ლამაზია, არა?
– დიახ, როგორ მიხვდით?
– თქვენ სიმახინჯის განსახიერება ხართ, შვილები კი ლამაზი გყავთ.

* * *

პრეზიდენტები მიდიან და მოდიან, დაპირებები კი რჩება.

* * *

– დაშა, როგორ ცხოვრობ შენს ქმართან, იგი ხომ მუდამ მთვრალია?

– იმიტომაც ვცხოვრობ მასთან, რომ ერთთავად მთვრალია. რომ გამოფხიზლდეს, მაშინვე მიმატოვებს.

მწეველი, მსმელი და დროს ტარების მოყვარული ქალი ეძებს ცხოვრების თანამგზავრს, რომელიც მას მისცემს თავის ხარჯზე ყოველივე ამის კეთების საშუალებას.

* * *

ტიპს მოპარული საქონლის შეძენისთვის ასამართლებენ.

– როგორ შეიძლება, რომ დამნაშავე ვიყო, ბატონო მოსამართლევ? – თავს იმართლებს იგი, – მე ეს საქონელი ას ლარად ვიყიდე. რომ მცოდნოდა, ნაქურდალი იყო, ოცდაათ ლარზე მეტს არ გადავიხდიდი.

* * *

თუ გადავწყვიტე, რომ არაფერი არ ვაკეთო, მაშინ ვერაფერი ვერ გამაჩერებს.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთილი ვარსკვლავებთან

– ცოცხების სკანდალი კიდევ ბევრ ნაძირალას გამოგვიხ!

– დარწმუნებულია პატიმრების წამების ვიდეოკადრების ავტორი, პენიტენციარული სისტემის ყოფილი თანამშრომელი ვლადიმერ ბედუკაძე, რომელიც ბრიუსელიდან საუბრობს, – ბაჩო ახალაიას და მისი მსგავსი პერსონების იზოლირება სწორედ საზოგადოების დაკვეთაა და, როგორც ჩანს, ახალმა ხელისუფლებამ ამ დაკვეთის შესრულება დაიწყო... თუ საჭირო ვიქნები, ახალ ხელისუფლებას გვერდით დავუდგები, რათა ქართული ციხე მართლაც ევროპული დონის შესაბამისი გახდეს... ვიდრე ამ სისტემაში თანამდებობაზე დაინიშნება, პირმა აუცილებლად უნდა გაიაროს ფსიქოლოგიური შემოწმება. რამე, თუნდაც მცირე გადახრის მქონე, ამ სისტემაში აღარ უნდა დაიშვას.

„ასავალ-დასავალი“

„ერთი მილიარდი ლარი, ადგნენ და, უბრალოდ გადაყარეს“

ხუთი რეზიდენცია, სამი თვითმფრინავი, უამრავი ავტომობილებისგან შემდგარი კორტეჟი – შესაძლოა, მომავალი წლიდან პრეზიდენტმა ყველა ამ სიკეთით სარგებლობა ვეღარ შეძლოს, რადგანაც 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, მისი დაფინანსება 50 მილიონიდან 10 მილიონამდე შემცირდება. ახალი ხელისუფლების ფინანსური გუნდი „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკის გატარებას გეგმავს. და როგორ გაიფლანგა ბიუჯეტიდან დაახლოებით 1 მილიარდი ლარი, ამის შესახებ დღეს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური საუბრობს.

„კვირის პალიტრა“

ზაალ კასრელიშვილის ინფორმაციით...

– ახლა ძალიან სამწუხარო რაღაც უნდა ვთქვა, – ჩემი ინფორმაციით, ჯიჰადი და წამებით სიკვდილის განაჩენი არა მარტო ბაჩო ახალაიასა და ზურაბ ადეიშვილს, არამედ ოჯახის წევრების მისამართითაც არის გამოტანილი, – ამბობს საქართველოს არასამთავრობო ორგანიცია კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარე, პოლიტოლოგი ზაალ კასრელიშვლი, – აქედანვე ვეუბნები ადეიშვილის ახლობლებსაც და ადეიშვილსაც, – მართალია, გგონიათ, რომ რაღაც ბერკეტებს ფლობთ და გაქვთ იმ დიდძალი ფულის იმედი, რომელიც ქვეყნიდან წაიღეთ, მაგრამ გეუბნებით, რომ არანაირი შანსი არა გაქვთ.

„ძრონიკა“

„დავამტკიცებ, რომ კოდორის ხეობა სააკაშვილმა ჩააბარა“

– აცხადებს ნორა კვიციანი, რომელსაც ციხეში 6 წელზე მეტი გაატარებინეს, – დაპატიმრების დროს მითხრეს, რომ იმ პირობით გამათავისუფლებდნენ, თუ ჩემი შვილი და ძმა ჩაბარდებოდნენ.ამაზე როგორ დავთანმდებოდი. ამის საფასურად თავისუფლება კი არა, სიცოცხლე არ მინდოდა. დღეს მე თავისუფალი ვარ და იოლად დავადგენ სიმართლეს. დავამტკიცებ, რომ კოდორის ხეობა ჩააბარეს. ის სააკაშვილმა ჩააბარა. დანაშაული ჩაიდინა ოქრუაშვილმაც.

„ახალი თაობა“

◎ სხარტულა

ობა-ობას დამხობა

შემიკლა ნაცთა ცხრა წლის ნაცობამ,
წრეგადასულმა ცხრა წლის ანცობამ,
ამ ხნის ვაცობამ, თან ავკაცობამ,
დემაგოგობამ და თვალთმაქცობამ...
მორჩა მაგათი გრიალ-განცხრომა –
აწ კალენდარმა სხვა დრო მაცნობა...

რამაზ ილმელი

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com